ექო

„... და მაშინ გაანიავონ ყოველნი ქართველნი“

№19, ოთხშაბათი, 4-10 ივლისი, 2001 წელი

ფასი 40 თეთრი

მეათე წელია იყიდება საქართველო!

მეათე წელია ილახება საქართველოს ღირსება!

მეათე წელია ნადგურდება ქართველობა სულიერად და ფიზიკურად!

მეათე წელია უფასურდება ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებანი!

მეათე წელია ჩანაგდება საქართველოს პატიოსანი მოქალაქეებისა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა!...

როდემდე გაგრძელდება ეს ყველაფერი?

სახელმწიფოს აღმშენებლობისაკენ ვინ შემოაბრუნებს უარესის შიშით დაბეჩავებულ მოსახლეობას?

როგორ უნდა შევძლოთ წარმატებული ბრძოლა არსებულ უკანონობასთან და ბოროტებასთან?

როგორ გამოვიდეთ ამ ზნეობრივ-პოლიტიკურ-ეკონომიკური ჩიხიდან?

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალ მაგიდას აქვს კონკრეტული სამომავლო პროგრამა, რომელიც მხოლოდ პატიოსანი საზოგადოების გააქტიურებით შეიძლება განხორციელდეს!

პატივცემულო მკითხველო!

გთავაზობთ „მრგვალი მაგიდის“ მემორანდუმს.

გთხოვთ, მოგვწეროთ თქვენი აზრი მასში წარმოდგენილი სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ.

გვ. 3

7 ივლისი - შობა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისა

10 ივლისი - ხსენება წმიდა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალისა

«საპარლამენტო» ოპოზიცია პოზიციაზე უფრო ერთგულია შევარდნაძისა

1992 წელს ზვიად გამსახურდია ქართველი ერისადმი მიმართვაში ამბობდა: „იმპერიის გზირი შევარდნაძე დღეს მეორე ორჯონიკიძედ მოევლინა საქართველოს, რათა ჩაკლას ჩვენს ერში თავისუფლების წყურვილი, მიწასთან გაასწოროს ჩვენი ქვეყანა, აუსრულოს კრემლს ოდინდელი ოცნება - საქართველო უქართველებოდ“.

გვ. 2

გვ. 4

საუკუნის მკვლელობა წმიდა ანტონ მარტყოფელის სავანეში

1908 წლიდან მთელი შვიდი წლის მანძილზე კირიონ II რუსეთის სასულიერო მთავრობის მიერ შერისხულია, სასულიერო წოდება ჩამორთმეული აქვს და საიმპერიო ხელისუფლების მუდმივ მეთვალყურეობაში იმყოფება...

მოულოდნელი შეხვედრა ბატონ კონსტანტინესთან

პირველ სართულზე საშუალო ზომის ოთახში შევედით, იქიდან კი ხის რიკულებიანი ხვეული კიბით მესამე სართულზე ავედით და ბატონ კონსტანტინეს ოთახს მივადექით...

ჩემს წინ საშუალო ტანის, პირხმელი, კახური ქუდით ბატონი კონსტანტინე დავინახე...

გვ. 6

დავით ლომსიანიძე: ახალგაზრდობა დროს მეტწილად ქუჩაში ატარებს, სადაც მეფობს ნარკომანია, პროსტიტუცია... ყოველივე ამის დანერგვას კი მთელი ძალისხმევით ცდილობს პრესა და ტელევიზია...

ვაი, რომ ამ ანკესზე მოზარდი თაობა წამოეგება ხოლმე, რომელსაც იდეალად გადაქცევია „დასავლური“ ცხოვრების წესი და ნთქავს ყოველგვარ უხამსობას...

გვ. 4

გვ. 7

ეს მე. აფხაზი გეუბნებით: სოხუმში ამჟამად საშინელება ტრიალებს!

იმის გამო, რომ ჩემი ძმის მეგობარმა ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაზე უარი განაცხადა, ადგილზევე მოკლეს...

მე ჩემი ხალხიც მეცოდება და ქართველებიც - რუსებმა დაგვაჭმევინა ერთმანეთი, აფხაზებს გვეუბნებოდნენ: დაგეხმარებით, თქვენი უფლებები დაიცავითო. ამას აჰყვა ზოგიერთი მოღალატე აფხაზი და მიიღო კიდევაც საკადრისი...

გვ. 3

ნათუნა ჯავახაძე: დუხჭირი ცხოვრებისაგან დაღლილი და გაღიზიანებული ადამიანი ხშირად კონფლიქტში შედის ადევნებულ მათხოვართან, რომ როგორმე ჩამოიცილოს იგი.

ამ დროს ღირსი ისააკ ასურის სიტყვები უნდა მოვიგონოთ: „გონებით ყოველთვის გახსოვდეს გაჭირვებულთა უმძიმესი ხვედრი, რათა თავად გულით მადლობდე უფალს იმ უმცირესი უბედურებისათვის, რომელიც შენზედ იგზავნება, რათა მუდმივად შეძლო მათი სიხარულით დათმენა“.

გვ. 5

რატომ არის ლუდოვიკო ოდენ ქვად ქცეული მხედარი? ანუ პარიზის ამბები და კიდევ... მთავარი!

სიძვის ცოდვა

ის, ვინც სიძვას ჩადის, თვით ხორციელ სიკეთეებსაც კარგავს - ჯანმრთელობას, ნაკვთების სიმშვენიერეს, თვალთა სილამაზეს, სასიამოვნო ხმას, სიმხნევეს, სიმამაცეს, ძალასა და სიმტკიცეს. ყველაზე დიდი საფრთხე სულისათვის ღმრთის მადლის დაკარგვაა, რადგან, თუ არ შეინანა, იგი უცხო ექმნება ღმერთს.

გვ. 6

უზენაესი საბჭო

ბადრი ფხალაძე: „საპარლამენტო“ ოპოზიცია პოზიციაზე უფრო ერთგულია შევარდნაძისა

(„მანქანება ბოროტებისაჯ“)

ზვიად გამსახურდია ქართველი ერისადმი მიმართვაში ამბობდა: „იმპერიის გზირი შევარდნაძე დღეს მეორე ორჯონიკიძედ მოევლინა საქართველოს, რათა ჩაკლას ჩვენს ერში თავისუფლების წყურვილი, მიწასთან გაასწოროს ჩვენი ქვეყანა, აუსრულოს კრემლს ოდინდელი ოცნება - საქართველო უქართველებოდ“.

რატომ დაარბევინა შევარდნაძემ გრიაზნოვისა და როდიონოვის ტრადიციებზე აღზრდილ „ლენერლებს“: კახა თარგამაძესა და სოსო ალავიძეს საერთაშორისო სამართლის დაცვით ჩატარებული, თვით ხუნტის ანტიკონსტიტუციის 25-ე მუხლითაც დაცული, მშვიდობიანი აქცია?

რაშია საქმე? შეიძლება, საფუძველი ხუნტის პათოლოგიური შიშისაგან გამოწვეულ აგონიაში ვეძიოთ.

მართალია, საპარლამენტო პოზიციასა თუ ოპოზიციას და გარეოპოზიციურ ძალებს თვითონვე აკონტროლებენ, ოპოზიცია პოზიციაზე უფრო ერთგულია შევარდნაძისა, მაგრამ საფრთხე მართლაც არსებობს. მათ კარგად იციან, რომ ეროვნული დვრიტა უკვდავია, ისიც იციან, რომ თუ მას მომვლელი ჰყავს, იგი წამსვე ამობრწყინდება, როგორც კი ხელსაყრელი ჟამი დაუდგება. გრძნობენ ამ ჟამის მოახლოებას.

მათ იციან, რომ თავისუფლების ეროვნულ დვრიტას სიმართლის მატარებელი კანონიერი ხელისუფლება იცავს, ხოლო კანონიერი ხელისუფლების მოღვაწეობას კი - ეროვნული სავანე ანუ კოლხური კოშკი.

ეროვნულმა დვრიტამ სამი ათასი წლის განმავლობაში აიეტის სასახლიდან მცხეთა-არმაზი და ხანძთის მონასტერი გამოიარა, ბაგრატის ტაძარი თუ ისნის მეფეთა სასახლე, გელათი თუ საგურამოს სანახები და ბოლოს კოლხურ კოშკში დაივანა.

მათ იციან, რომ ილიასა და ზვიადის მოკვლით, მართალია, ეროვნულ დვრიტას ვერ მოჰკლავენ, პირიქით, მათი წმინდა სისხლი უფრო აკაუებს ეროვნულ სულს, მაგრამ დროში იგებენ და თავიანთ ბინძურ ბატონობას იხანგრძლივებენ.

მათ ისიც კარგად იციან, რომ დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკური სიტუაცია ისეთია, რომ ისინი თავისი დამანგრეველი მმართველობით მარტო საქართველოს კი არ აყენებენ ზიანს, არამედ ევროპული არეალის წარმმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული ძალების დისკრედიტაციას ეწევიან საქართველოში. ძირს უთხრიან იმ ევროპული არეალის გეოპოლიტიკურ ინტერესებს, რომელიც საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესების თანხვედრია.

ისინი არიან გაცოფებულნი და არ იციან, რა მოუხერხონ კანონიერ ხელისუფლებას და კოლხურ კოშკში დაცულ ეროვნულ დვრიტას.

და, აი, გამოიკვეთა, რომ ყოველივე ამის მომვლელი კოლხური კოშკის დიასახლისია.

დარწმუნებულნი ვართ, მხოლოდ იმიტომ არ დაარბევდნენ მშვიდობიან მიტინგს, რომ თუ ახლა უფლება მივეცით, ხვალ უფრო ბევრნი მოვლენო. რა თქმა უნდა, ეს ლოგიკურია და ასეც იქნება, მაგრამ მათ უფრო შორს გამიზნული სცენარი ჰქონდათ. 26 მაისამდე ორი დღით ადრე გაცვეთილი მეთოდით - ავტოავარიით სურდათ ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია მწყობრიდან გამოეყვანათ. ვეღარ შეასრულებდა რა თავის მისიას, ეროვნული ძალები დაიფანტებოდნენ და კანონიერი ხელისუფლება მიზანმიმართულ მუშაობას ვეღარ შესძლებდა.

როდესაც სცენარის რეჟისორი მიხვდა, რომ განზრახვა ჩაეშალა, რაღაც საშუალებით აღგზნებული, ხელკეტებითა და ფარებით აღჭურვილი „ომონი“ მიუსია ხალხს. მიზნის მიუღწევლობით გაბოროტებულებმა ხალხზე შურისძიება განიზრახეს.



და, აი, ახლოვდებოდა 26 მაისი. ეროვნული ძალები სახალხო შეკრებას აწყობდნენ. ამუშავდა კიდევაც ილიასა და ზვიადის მკვლელთა „მანქანება ბოროტებისაჯ“.

მიმდინარე წლის 26 მაისს 12 საათიდან დავით აღმაშენებლის ძეგლის გარშემო ხალხმა დაიწყო შეკრება; უზენაესი საბჭოს წევრთა ერთი ნაწილი იქ ვიყავით. 13 საათისათვის "მრგვალი მაგიდისა“ და უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ნაწილი დროშებითა და ჯვრებით მოპირდაპირე მხრიდან შემოვიდნენ რესპუბლიკის მოედანზე და ჩვენსკენ გამოემართნენ. პოლიციამ მათ გზა გადაუკეტა და აიძულა მოპირდაპირე მხარეს ტრიბუნაზე ასულიყვნენ. მიტინგი დაიწყო. ჩვენი მხარე ნახევარი საათით ადრე უკვე პოლიციის ალყაში იყო მოქცეული.

ბუნებრივია, მათთან შეერთება გადავწყვიტეთ, რაც მხოლოდ ნაწილმა მოვახერხეთ. ხალხი განუწყვეტლივ ემატებოდა რესპუბლიკის მოედანს. და აი, ამ დროს მოქალაქეთა ტანსაცმელში გადაცმულმა ომონელებმა დაიწყეს მანდილოსანთა სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა, რამაც მომიტინგეთა აღშფოთება გამოიწვია. ეს იყო სცენარის ერთი ნაწილი, სურდათ ყველას ყურადღება მომხდარზე გადასულიყო, ხოლო გადაცმულთა ნაწილი მიტინგის წამყვანთა მხარისაკენ ცდილობდა გაჭრას, სადაც ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია იმყოფებოდა. იქვე იყო მოაჯირი, საიდან გადავარდნაც, უეჭველ სიკვდილს გამოიწვევდა. და აი, ხალხი მიხვდა რა ხუნტის შემზარავ განზრახვას, მთელი ძალით შეუტია მოძალადეთ, ქალბატონი მანანა ძლივს გაიყვანეს სამშვიდობოს. მეორედ უფრო გაშმაგებით შემოგვიტიეს, რადგან კიდევ ჰქონდათ თავიანთი მიზნის მიღწევის იმედი. განურჩევლად სცემდნენ ყველას: ქალსა და მოხუცს. ხალხმა ამჯერადაც მოიგერია მათი შემოტევა.

როდესაც სცენარის რეჟისორი მიხვდა, რომ განზრახვა ჩაეშალა, რაღაც საშუალებით აღგზნებული, ხელკეტებითა და ფარებით აღჭურვილი „ომონი“ მიუსია ხალხს. მიზნის მიუღწევლობით გაბოროტებულებმა ხალხზე შურისძიება განიზრახეს.

აღწერას არ შევუდგებით, მხოლოდ გაგახსენებთ 1989 წლის 9 აპრილის კადრებს და მიტინგის დარბევის შესახებ სრული წარმოდგენა შეგექმნებათ.

განსხვავება მხოლოდ ორია: 9 აპრილს ამის ჩამდენნი რუსი დამპყრობლები იყვნენ, 26 მაისს კი იმპერიის მიერ გამოზრდილნი და მის მიერვე ხელისუფლებაში მოყვანილი „ქართველები“ და კიდევ, ნიჩბები არ ჰქონდათ, ამდენი ვერ გაბედეს, რადგან მეძავივით, რუსეთის იმპერიას არიან დანებებულნი და თან დასავლეთსაც ეკეკლუცებიან. აღარც ის დროა, ასე აშკარად იბოროტონ, თორემ სურვილი დიდი აქვთ, არა თუ ნიჩბებით, ტანკებითაც გადაუვლიდნენ ხალხს.

აი, რა საზარელი სცენარი იყო დაგეგმილი 26 მაისს დავით აღმაშენებლის ძეგლის წინ.

დიახ! კოლხური კოშკის დიასახლისის მწყობრიდან გამოყვანით ბევრს აღწევდნენ. იგებდნენ იმდენ დროს, რამდენიც სრულიად საკმარისი იქნებოდა ათი წლის წინ დაწყებული დავალების შესასრულებლად. ეს ყოველივე გაცხადებულია ზვიად გამსახურდიას ქართველი ერისადმი 1992 წლის 19 მაისის მიმართვაში: „იმპერიის გზირი შევარდნაძე დღეს მეორე ორჯონიკიძედ მოევლინა საქართველოს, რათა ჩაკლას ჩვენს ერში თავისუფლების წყურვილი, მიწასთან გაასწოროს ჩვენი ქვეყანა, აუსრულოს კრემლს ოდინდელი ოცნება - საქართველო უქართველებოდ“.

2001 წლის 26 მაისს ქართველმა ერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ამქვეყნიური ცხოვრების საზრისის არსი - თავისუფლებისადმი ერთგულება.

მრუდე სარკე და სინამდვილე

მრუდე სარკე

დავით გამყრელიძე („კვირის პალიტრა“):

მე ოპოზიციაში ვარ ხელისუფლებასთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან; პრეზიდენტი ქვეყნის სიმბოლოა, ამიტომ არ ვლანძღავ შევარდნაძეს...

სინამდვილე

პრეზიდენტი შევარდნაძე საქართველოს სიმბოლო არ არის; იგი დავით გამყრელიძის ბელადია! გამყრელიძეები პუტჩის შემდეგ გამილიონერდნენ სწორედ შევარდნაძის მფარველობით. რატომ უნდა აგინოს ბოსს? რაც შეეხება ჟვანიას: გამყრელიძისთვის დე ფაქტო პარლამენტის თავმჯდომარე შევარდნაძის კიბეზე ერთი საფეხურით მაღლა მდგომი სუბიექტია: დე ფაქტო პარლამენტში წარმოდგენილი ფრაქციები ოპოზიციონერობად ასაღებენ შევარდნაძის შიდაკლანურ კონკურენციას... ასე, რომ, გამყრელიძე ჟვანიას კონკურენტია და არა არსებული რეჟიმის ოპოზიცია!

მრუდე სარკე

ვახტანგ რჩეულიშვილი („კვირის პალიტრა“):

მე და ბატონ ასლანს გზა ხსნილი გვაქვს რუსეთის პარლამენტისაკენ, კაკო ასათიანს - დასავლეთისაკენ, „ახლებს“ - შევარდნაძესთან ურთიერთობა შეუძლიათ... ჩვენ ერთმანეთს არ დავჭამთ, იმიტომ რომ ვჭირდებით და ვაკსებთ ერთმანეთს.

სინამდვილე

ვახტანგ რჩეულიშვილი და ძმანი მისნი ნამდვილად სჭირდებიან ერთმანეთს, ვინაიდან ასე ერთმანეთით, აგერ უკვე ათი წელიწადია ტივტივებენ საზოგადოების ზედაპირზე და „მოქალაქეთა კავშირთან“ ერთად საკუთარ ცხოვრებას იწყობენ... ამ ვითომ ოპოზიციას ერთი ბიჯიც არ გადაუდგამს საქართველოში მცხოვრები ფართო ფენების საკეთილდღეოდ, არადა სოციალისტობასა და მემარცხენეობაზე დებენ თავს. მათ არც საქართველოს კულტურასა და ეკონომიკაზე უზრუნიათ, უფრო მეტიც, სერიოზულად არც კი ულაპარაკიათ.

ქურდი დღეში სამჯერ გამოტყდებაო - უთქვამთ. ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილი ნაწილობრივ სიმართლესაც ამბობს: მას და მის მეგობრებს მართლაც რუსეთის პარლამენტისკენ აქეთ გზა გახსნილი. სრული სიმართლე იქნებოდა მას ეთქვა: *„ჩვენ, ყველანი, ვინც შევარდნაძის პარლამენტში ვსხედვართ, ვჭირდებით რუსეთს და რუსეთი გვჭირდება ჩვენ“*... საქართველო რჩეულიშვილისა და მისი მეგობრებისათვის, სამწუხაროდ, მხოლოდ სათამაშო მოედანია...

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის

მემორანდუმი

"საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის" მემორანდუმი ერთი წლის წინ გამოქვეყნდა; 2000 წლის 23 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ განიხილა და მოიწონა მრგვალი მაგიდის წინადადებები; მიიღო შესაბამისი დადგენილებაც... ამგვარად, "საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალმა მაგიდამ" და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ჩიხიდან გამოსასვლელად ხალხსა და პოლიტიკურ სპექტრს საუკუნის მიწურულს კიდევ ერთხელ შესთავაზა კონკრეტული გზა.

"საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის" მემორანდუმს სრული იგნორირებით შეხვდა დე ფაქტო ხელისუფლება, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ არსებული რეჟიმის არცერთი ფრაქციის წარმომადგენელი არ ზრუნავს ქვეყანაში კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის აღდგენისათვის... ისინი, აგერ უკვე მეათე წელია(ახლახან დაემატნენ ფსევდოზვიადისტებიც) ერთმანეთთან შეხმატკბილებულად თამაშობენ ოპოზიციონრობანას – ძაბავენ ხალხის ყურადღებას და, ამასობაში, ქუჩური წესებით იყოფენ უკანონო შემოსავლების წყაროებსა თუ ველებს...

მემორანდუმის გამოქვეყნებით გაზეთ "ქუჯის" რედაქციას სურს ფართო საზოგადოებასა და ახლომხედველ პოლიტიკურ სპექტრს გააცნოს:

"მრგვალი მაგიდის" სპიკერის ქ-ნ მანანა არჩვაძეგამსახურდიას უაღრესად მიმტევებლური და საქმიანი პოლიტიკური პროგრამის ძირითადი მიმართულებანი;

"საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის" წევრთა კეთილი ნება, ზვიად გამსახურდიას პრინციპების შესაბამისად – უსისხლოდ - აღდგეს საქართველოში კანონიერება;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მისწრაფება, ქვეყანას შეუნარჩუნოს ის სამართალმემკვიდრეობა, რომლითაც ჩვენი სახელმწიფო ღირსეულად წარსდგება საერთაშორისო ასპარეზზე...

რუსეთის იმპერიისა და ადგილობრივ კრიმინალთა მიერ ორგანიზებული 1991-93 წლების პუტჩის შედეგად საქართველოში დღემდე ფაქტიური ორხელისუფლებიანობაა. პარალელურად არსებობს კანონიერად არჩეული დევნილი უზენაესი საბჭო (რომელსაც რეალური ძალაუფლება არა აქვს) და სამართლებრივად უწარსულო, უკანონო ფაქტობრივი ხელისუფლება. ამ ვითარების პირდაპირი შედეგია საქართველოში გაბატონებული უკანონობა და ძალადობა, კორუფცია და საბიუჯეტო ქაოსი, რეგიონულ კლანთა ურჩობა და აგრესიულ მეზობელთა თავგასულობა.

დე ფაქტო ხელისუფლებამ დღემდე არცერთი ნაბიჯი არ გადადგა საქართველოში კანონსა და წესრიგზე დაფუძნებული საშინაო სტაბილიზაციისათვის. უარესის შიშით ხალხი იძულებულია შეეგუოს უკანონო არჩევნების შედეგებსა და არსებულ გაუსაძლის პირობებს.

შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავალი არსებობს. საჭიროა მხოლოდ საქართველოს ძირითადი პოლიტიკური სპექტრის კეთილი ნება, რომელიც უნდა გამოვლინდეს:

ა) საქართველოში არსებული ვითარების ობიექტურად შეფასებაში; ბ) არსებული პრობლემების გადასაწყვეტად დიალოგის ფორმის არჩევაში; გ) დე იურე და დე ფაქტო ხელისუფლებათა მიერ სამართლებრივი და საყოველთაო არჩევნების წინაპირობების მომზადებაში.

აცნობიერებს რა საქართველოში სამოქალაქო მშვიდობის შეუქცევადობის როლს კავკასიისათვის, - ზოგადად, მსოფლიოსათვის, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა აცხადებს:

1. იურიდიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალურ-ზნეობრივი კრიზისიდან გამოსაყვანად საქართველოს პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა მზადაა პირდაპირ, **საჯარო დიალოგში ჩაებას** ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან (მათ შორის, ფაქტობრივ ხელისუფლებაში წარმოდგენილ პარტიებთანაც), ვინც გმობს ხელისუფლების ძალადობით ცვლას;

2. საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა **ითანამშრომლებს** ყველა იმ პოლიტიკურ ერთეულთან, რომელიც აღიარებს საქართველოს დევნილი კანონიერი ხელისუფლებისა და დე-ფაქტო ხელისუფლების პარალელურად არსებობას; დაგმობს ხელისუფლების ცვლას პუტჩის, ტერაქტებისა და ცრუ არჩევნების გზით; მხარს დაუჭერს ლეგიტიმური ხელისუფლების - დევნილი უზენაესი საბჭოს საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე ვადამდელი არჩევნების დანიშვნა-ჩატარებას.

მანანა არჩვაძე–გამსახურდია
საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერი
თბილისი, 2000.09.04

ტკივილი

ეს მე, აფხაზი გეუბნებით: სოხუმში ამჟამად საშინელება ტრიალებს!

მეგობართან მისულს სტუმრად სოხუმიდან ახლახანს ჩამოსული აფხაზები დამხვდნენ, რომლებიც დიდი ტკივილით იხსენებდნენ წარსულს და აღშფოთებას ვერ ფარავდნენ "აფხაზთა და ქართველთა ხელისუფლებების" მოღალატურ საქმიანობაზე. რადგანაც ქართული არ იცოდნენ, ჩვენს შორის დიალოგი რუსულ ენაზე წარიმართა. გასაგები მიზეზების გამო, მათ გვარებს არ დავასახელებ. - თქვენ გგონიათ რაკი რუსები დაგვეხმარნენ ომში, კარგად ვცხოვრობთ? - გულისტკივილით აღნიშნა ერთ-ერთმა - ისინი შავკანიანებს გვეძახიან, ყველაფრის უფლება გვაქვს ჩამორთმეული!

– თავად სოხუმში როგორი მდგომარეობაა?

- საშინელი. შექმნილია ბანდები, რომელებიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ძარცვავენ და კლავენ ადამიანებს. ეს ბანდები სხვადასხვა ეროვნების ადამიანებისაგან - სომხების, აზერბაიჯანელების, აფხაზების, უმეტესად კი რუსებისაგან შედგება. ბავშვს სკოლაში მარტო ვერ ვუშვებ, მე თავად დავყვები, იქ კი ჩემი და აკითხავს და სახლში მოჰყავს. სრული განუკითხაობაა, სამართალს ვერსად იპოვი, თუმცა რაზეა საუბარი, როგორც თქვენი „ხელისუფლება" ეწევა ქართველი ერის გენოციდს, ისე ვართ ჩვენც. აქ ეს ყოველივე ნელა ხდება, ხალხის აფეთქება რომ არ გამოიწვიოს, ჩვენთან, კი ერთი ხელის მოსმით.

ერთმა მუჭა აფხაზებმა რა უნდა გავაკეთოთ?

– ეკონომიკურად რა მდგომარეობა გაქვთ?

- ძალიან გვიჭირს, ისეთი სიძვირეა, საცაა შიმშილით ამოვწყდებით. სოხუმი ის აღარ არის, რაც იყო. ქალაქი ჩამკვდარია. რომ ნახოთ, გული მოგიკვდებათ. ასევეა გაგრა, თქვენ ხომ იცით, რა ლამაზი იყო? ახლა დანგრეულია, გაცამტვერებული. იქ უმეტესად სომხები და რუსები ცხოვრობენ, აფხაზები ძალზე იშვიათად.

– სანამ ომი დაიწყებოდა, რა ურთიერთობა გქონდათ ქართველებთან?

- ძალიან კარგი. იცით, რას გეტყვით? როდესაც მხედრიონელები შემოვიდნენ აფხაზეთში „ზვიადისტების" გასანადგურებლად, აფხაზები და ქართველები ერთად ვიმალებოდით, რათა ამ საშინელი ჭირისაგან თავი გადაგვერჩინა; მაშინ ხომ განდევნილი ხელისუფლების მომხრეებზე ნადირობა მიმდინარეობდა. სწორედ, აქედან დაიწყო ყველაფერი. ჩვენს შორის სიყვარული რომ იყო, ისიც ადასტურებს, რომ ჩემმა ძმამ, აფხაზმა ახლახანს ჯვარი დაიწერა ქართველ გოგონაზე.

რა თქმა უნდა, მტერს სურდა, სწორედ ისე მომხდარიყო ყოველივე, როგორც მოხდა. იდეური ზეწოლა ადრე-ვე მიმდინარეობდა ქართველებსა და აფხაზებს შორის შუღლის ჩამოსაგდებად. მე ჩემი ხალხიც მეცოდება და ქართველებიც - რუსებმა დაგვაჭმევინა ერთმანეთი, აფხაზებს გვეუბნებოდნენ: დაგეხმარებით, თქვენი უფლებები დაიცავითო. ამას აჰყვა ზოგიერთი მოღალატე აფხაზი და მიიღო კიდევაც საკადრისი - შავკანიანებს გვეძახიან. ბავშვები დაზაფრულნი არიან, ერთი ბინიდან მეორეში ვერ ვუშვებ სათამაშოდ, ვიცი, რომ უკან ცოცხალი აღარ დამიბრუნდება. არ გიკვირთ, ასე ჩუმად რატომ არის (15 წლის ბიჭუნასკენ მომახედა)? - ეშინია, ყაჩაღები მომკლავენო. სანამ ქუთაისში წამოვიდოდით, გვაფრთხილებდნენ: რუსულად არ დაილაპარაკოთ, თორემ ქართველები დგხოცავენო. მართლაც, ხმა არ ამოგვიღია მთელი მგზავრობის განმავლობაში.

– როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, რატომ არ შეკავშირდებით და ქართველებთან ერთად არ იბრძოლებთ ძალადობის წინააღმდეგ?

- ხალხი დაშინებულია. კვლავ ვიმეორებ, ქუჩაში გამოსვლის გვეშინია. ყველამ იცის, ჩვენსა და თქვენს მთავრობას შორის არავითარი განსხვავებაა. ერის გახლეჩა ხელს აძლევთ - გახლიჩეს კიდეც. რა, შევარდნაძემ არ იცოდა, რას აკეთებდა, როცა 1921 წლის კონსტიტუცია აღადგინა? ძალიანაც კარგად იცოდა, რომ ამით ისარგებლებდა არძინბა, 1925 წლის კონსტიტუციას აღადგენდა და დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. ეს შეცდომა კი არა, დანაშაული იყო - მიზანმიმართული და გამიზნული. ჩვენ ვინ გვეკითხებოდა რაიმეს, ყველაფერს რუსები დ ხელისუფლება წყვეტდნენ. იმის გამო, რომ ჩემი ძმის მეგობარმა ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაზე უარი განაცხადა, ადგილზევე მოკლეს. რამდენი საშინელება დატრიალდა, ვინ იცის?! ზოგს გონია, ჩვენს შორის დაპირისპირებაა, არძინბა სხვაა და შევარდნაძე სხვა. სინამდვილეში ორივე რუსეთის მსახურები არიან, მის ბრძანებას ასრულებენ. აბა, სხვაგვარად როგორ აიხსნება სოხუმში დადებული ხელშეკრულებები, რომლებიც აფხაზეთს

ROდესაც მხედრიონელები შემოვიდნენ აფხაზეთში „ზვიადისტების" გასანადგურებლად, აფხაზები და ქართველები ერთად ვიმალებოდით, რათა ამ საშინელი ჭირისაგან თავი გადაგვერჩინა.

აფიქსირებს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. თქვენს „მთავრობას" აფხაზეთის დაბრუნება რომ უნდოდეს, ამას გააკეთებდა?

– თქვენი ამგვარი მსჯელობა, ცხადია, გასაგებია - ქართველებთან ურთიერთობა გაქვთ და ორივე „ხელისუფლების" მოღალატური საქმიანობის შესახებ გაქვთ ინფორმაცია. სხვა აფხაზები რას ამბობენ, ნანობენ მომხდარზე?

- არ გვქონდა ჩვენ სიძულვილის მიზეზი, პროვოკაციის მსხვერპლნი ვართ; აკი გითხარით, აფხაზები და ქართველები ერთად ვიმალებოდით, როცა მხედრიონი მუსრს ავლებდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებს. ახლა გვიანია სინანული. ერთი ასეთი რუსული ანდაზა არსებობს: „როდესაც მგლის ეშინიათ, ტყეშიც არ შედიან".

ესაუბრა ლელა ხაჭაპურიძე

ჩვენი ძველი ისტორია

საუკუნის მკვლელობა
წმიდა ანტონ მარტყოფელის სავანეში

XX საუკუნეში - ამ შემზარავ და შავბნელ საუკუნეში - საგურამო-იალნოს ქედის დასავლეთ და სამხრეთ კალთებზე ორი ამაზრზენი, თავზარდამცემი, სულის სიღრმემდე ამაფორიაქებელი და ქართველი ერის გამაუბედურებელი მკვლელობა მოხდა: პირველი წიწამურთან, როცა საქართველოს მოღალატეებმა და დამაქცევრებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ჩვენი სამშობლოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებაირახტრე, საქართველოს უგვირგვინო მეფე დიდი ილია - წმიდა ილია მართალი, მეორე - წმიდა ანტონ მარტყოფელის სავანეში, როცა ასევე სულგაყიდულმა მკვლელებმა მუხანათურად და ვერაგულად წაართვეს სიცოცხლე საქართველოს სულიერ მოძღვარს, სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს კირიონ II-ს.

მძიმე, მაგრამ უაღრესად საპატიო იყო მათთვის ის ტვირთი, რომელიც უფალმა დააკისრათ. მთელი თავიანთი მოწამეობრივი სიცოცხლის მანძილზე ერის მამამ - წმიდა ილია მართალმა და საქართველოს სულიერმა მოძღვარმა კირიონ II-მ ქრისტესმიერი სიყვარულითა და მოთმინებით ზიდეს ეს მძიმე და საპატიო ტვირთი და მოწამეობრივი სიცოცხლე მაცხოვრის მსგავსად თავიანთ გოლგოთის გზაზე მოწამეობრივადვე დაასრულეს... ვწერ ამ სტრიქონებს და ჩემს თვალებზე ცრემლი კიაფობს: რომელ სულიერს შეეძლო აღემართა თავისი სისხლიანი ხელი მაცხოვრის მიმართ, დიდი ილას მიმართ, ერის სულიერი მოძღვრის - კირიონ II-ის მიმართ!.. და აგერ, ჩვენს თვალწინ მერაბის, ზვიადის მიმართ!..

ახლა კი უშუალოდ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის კირიონ II-ის მოწამეობრივ ცხოვრებასა და ტრაგიკულ აღსასრულზე ვისაუბროთ.

დიდი ქართველი მამულიშვილი, სასულიერო მოღვაწე და მეცნიერი კირიონ II, ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი, დაიბადა 1855 წელს ქართლის სოფელ ქვემო ნიქოზში (გორის მახლობლად). 1876 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, ხოლო 1880 წელს - კიევის სასულიერო აკადემია. 1880-1883 წლებში მუშაობდა ოდესის სასულიერო სემინარიაში. კირიონ II ოდესიდან საქართველოში ბრუნდება და მჩქეფარე მუშაობას აჩაღებს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

1896 წლამდე გიორგი საძაგლიშვილი (კირიონ II) მუშაობს გორის, ქუთაისისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლებში. ამ წელს მას თავს დაატყდა თავზარდამცემი უბედურება - ტრაგიკულად დაეღუპა ცოლ-შვილი. ძვირფასი თანამეცხედრისა და საყვარელი შვილების დაღუპვამ უმძიმესი დარტყმა და მოუშუშებელი ჭრილობა მიაყენა მის სიყვარულით აღვსილ გულს... გიორგი საძაგლიშვილის უტეხმა სულმა, მისმა სულიერებამ შეაძლებინა მას გაეგრძელებინა განაწამები სიცოცხლე და სასულიერო ასპარეზზე მოღვაწეობით მთლიანად სამშობლოსათვის მიეძღვნა იგი. 1896 წელსავე კირიონის სახელით ბერად აღიკვეცა და ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი გახდა.

1898 წელს კირიონ II ალავერდის წმიდა გიორგის ეკლესიის ეპისკოპოსად აკურთხეს. ეს ღვთივბოძებული ადამიანი ალავერდს მხსნელად მოევლინა. მისი იქ ჩასვლის ჟამს ეს ტაძარი მოუვლელობისაგან განადგურების პირას იყო მისული. ტაძრის ეპისკოპოსმა კირიონმა შეადგენინა გეგმა-ნახაზი და თავისი ხარჯებით დაიწყო მისი შეკეთება. ამავე დროს მან დაიწყო კახეთის ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველეების შესწავლა. კირიონმა საქართველოს საეკლესიო მუზეუმს გადასცა 68 ხელნაწერი, მათ შორის 1089 წელს გადაწერილი სახარება. ამ აღმოჩენით გახარებული მოსე ჯანაშვილი წერდა: „მასში ბევრი საყურადღებო ცნობებია დაცული სახარების ქართულად თარგმანისა და სხვათა შესახებ“.

კირიონ II-ის დაუცხრომელი მოღვაწეობა კახეთში სამ წელიწადს გაგრძელდა. 1901 წლიდან იგი გორის საეპისკოპოსოს მეთაური ხდება. სწორედ, ამ დროიდან იწყება მისი გაშმაგებული დევნა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან. საქართველოს დამმონებლები განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდნენ კირიონ II-ის შეუპოვარ ბრძოლას ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, რასაც იგი წმიდა ილია მართალთან, აკაკისთან, იაკობ გოგებაშვილთან, ლეონიდე ოქროპირიძესთან, ვასილ კარბელაშვილთან და სხვა სახელოვან მამულიშვილებთან ერთად მრავალი წლის მანძილზე დაუღალავად ეწეოდა.

მკითხველს შევახსენებ, რომ ვახტანგ გორგასლის მიერ V საუკუნეში მოპოვებული დამოუკიდებლობა ქართული ეკლესიისა მეფის რუსეთმა 1811 წელს წაგვართვა თავხედურად, გააუქმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობა, მის ნაცვლად შემოიღო ეგზარქოსობა და 106 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დანიშნა ეგზარქოსის თანამდებობაზე ქართველი კაცი - მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი. მალე იგი რუსეთში „გაიწვიეს“ (გადაასახლეს!) და მის ადგილზე დანიშნეს რიაზანის ეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი, უჯიათი, თავხედი, ყოველივე ქართულის მტერი და მოძულე პიროვნება, რომლის მუხანათობამ და ვერაგობამ იმერეთ-რაჭა-გურიის 1819-1820 წლების აჯანყების დროს დაღუპა იმერეთის ორი დიდი მღვდელმთავარი დოსითეოზ ქუთათელი და ეფთვიმე (ექვთიმე) გენათელი. 1817 წლიდან 1917 წლამდე საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობაზე მხოლოდ რუსებს ვხედავთ. ამრიგად, რუსეთის იმპერია არ დასჯერდა რა ჩვენი სამშობლოსათვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის წართმევას, გვართმევს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის დაუცხრომლად მებრძოლ ქართველ მამულიშვილებს, მათ შორის კირიონ II-ს.

მკვლევარი დ. მაღრაძე ეხება რა კირიონ II-ის გორის საეპისკოპოსოს ხელმძღვანელად დანიშვნას, წერს: „აქედან იწყება რუსეთის სასულიერო მთავრობის მიერ ეპისკოპოს კირიონის, აშკარა დევნა, ადგილიდან ადგილზე გადაყვანა, შევიწროება და ბოლოს გადასახლებაც.

1902 წელს ეპისკოპოს კირიონს კამენეცპოდოლსკის (უკრაინა - ა.მ.) ეპარქიის ხელმძღვანელად ნიშნავენ... 1903 წელს ხერსონში გადაჰყავთ, 1904 წელს - ორიოლის ეპარქიაში, 1906 - სოხუმში, ხოლო 1907 წლის 27 იანვარს კვლავ რუსეთში - კოვნოს ეპარქიაში“ (დ.მაღრაძე, რათა ვიყოთ ყოველნი ერთგვამ, ჟურნ. „მნათობი“, 1990, № 6, გვ. 170).

1908 წლიდან მთელი შვიდი წლის მანძილზე კირიონ II რუსეთის სასულიერო მთავრობის მიერ შერისხულია, სასულიერო წოდება ჩამორთმეული აქვს და საიმპერიო ხელისუფლების მუდმივ მეთვალყურეობაში იმყოფება. კოვნოს სამწყსოს ჩამორთმევის შემდეგ იგი კურიაჟში გაგზავნეს, შემდეგ სანაქსარის მონასტერში.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი *აკაკი მათიაშვილი*

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

„ქუჯის“ ფოსტა

კიდევ ერთი მსხვერპლი

ამ რამდენიმე დღის წინ ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში ახლობელი მივიყვანეთ, რომელიც, ჩვენი დღევანდელი უბედურებიდან გამომდინარე, შეეცადა ტრაგიკულად დაესრულებინა საკუთარი სიცოცხლე. მან ვეღარ აიტანა ირგვლივ გამეფებული ატმოსფერო და საბედისწერო ნაბიჯი გადადგა - თვითნაკეთი დანით გულგანგმირული იპოვეს საწოლ ოთაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, იგი ქუთაისის კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მოვათავსეთ. ექიმებმა გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი გასაჭირი და შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას, მაგრამ უცაბედად შუქი წავიდა. დაიწყო სანთლების ძებნა; მძიმე ავადმყოფს კაბინეტიდან კაბინეტში დავატარებდით - ადამიანი სისხლისაგან იცლებოდა. მედპერსონალი აღშფოთებას ვერ ფარავდა და არც „საქებ“ სიტყვებს იშურებდა ე.წ. მთავრობისადმი; მათ ხომ არანორმალურ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. უკვე მერამდენე შემთხვევა იყო, შუქის წასვლის გამო მძიმე სიტუაციაში ჩავარდნილნი სხვადასხვა ხერხით ცდილობდნენ სიცოცხლე შეენარჩუნებიათ მომაკვდავისათვის. სართულიდან სართულზე გადასასვლელად ხელში ანთებული სანთლებით ვიკვლევდით გზას. ბოლოს რეანიმაციის განყოფილებაში შევჩერდით. ექიმ შოთა სამხარაძის თავდადებული მცდელობის მიუხედავად, რისთვისაც იგი უთუოდ მადლობის ღირსია, დავით ვასილის ძე ჩხეიძე გარდაიცვალა, იქნებ, ნორმალურ ვითარებაში გაკეთებულ ოპერაციას ეხსნა იგი, გამოეტაცა სიკვდილის კლანჭებისაგან. ბატონი დავითი პირველი არ ყოფილა, იგი კიდევ ერთი მსხვერპლია ჩვენს ქვეყანაში გამეფებული უთავბოლობისა და დამთრგუნველი რეჟიმისა.

ადამიანი სისხლისაგან იცლებოდა... შუქის წასვლის გამო მძიმე სიტუაციაში ჩავარდნილი ექიმები სხვადასხვა ხერხით ცდილობდნენ სიცოცხლე შეენარჩუნებიათ მომაკვდავისათვის.

დოდო იობიძე

საქართველო უქართველებოდ?

ბედნიერი მომავალი იმ ქვეყანას აქვს, რომელსაც ჯანსაღი, სულით და ხორცით ძლიერი ახალგაზრდობა ჰყავს. ამიტომაც მტერი ყოველთვის ცდილობდა მომავალი თაობების გადაგვარებას; ასევე იყო ჩვენს სინამდვილეშიც. დამპყრობელი ყოველთვის ცდილობდა ახალგაზრდობა წაეყვანა ტყვედ, იძულებით გაეწვია ომში, გადაესახლებინა, რასაც ჩვენი ხალხი გონივრულად უპირისპირებდა გენოფონდის გაზრდას. ბატონობდა თვალსაზრისი, რომ ბავშვი იზრდებოდა არა მარტო ოჯახისათვის, არამედ სამშობლოსათვისაც.

ახალგაზრდობა დროს მეტწილად ქუჩაში ატარებს, სადაც მეფობს ნარკომანია, პროსტიტუცია... ყოველივე ამის დანერგვას კი მთელი ძალისხმევით ცდილობს პრესა და ტელევიზია... ვაი, რომ ამ ანკესზე მოზარდი თაობა წამოეგება ხოლმე, რომელსაც იდეალად გადაქცევია „დასავლური“ ცხოვრების წესი და ნთქავს ყოველგვარ უხამსობას...

რა ხდება დღეს?

დღევანდელი დე ფაქტო ხელისუფლების წყალობით მილიონ შვიდასი ადამიანი (ძირითადად ახალგაზრდობა) რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაა. მათ, შეიძლება, თავისუფლად ვუწოდოთ „გასხვისებულნი“, რადგან უცხო ქვეყნებში სრულიად დაუცველნი არიან. ისინი საერთოდ არ ახსოვს „ხელისუფლებასაც“, მხოლოდ მაშინ მოისაკლისებენ, როცა არჩევნებში მხარდაჭერა დასჭირდებათ. საქართველოს პასპორტს უცხოეთში არავითარი იურიდიული ღირებულება არა აქვს; ჩვენი „ავტორიტეტი“ განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობით.

ის, ვინც ვერ შეძლო ქვეყნიდან გასვლა, მთელი სიძლიერით აღიქვამს სიდუხჭირეს, უპერსპექტივობას. იშვიათად იქმნება ოჯახები, ახალგაზრდობა დროს მეტწილად ქუჩაში ატარებს, სადაც მეფობს ნარკომანია, პროსტიტუცია, აზარტული თამაშები, ბილწსიტყვაობა. ყოველივე ამის დანერგვას კი მთელი ძალისხმევით ცდილობს პრესა და ტელევიზია. სწორედ ისინი არიან „დიდი პოლიტიკის“ დასტურმიმცემნი. ვაი, რომ ამ ანკესზე მოზარდი თაობა წამოეგება ხოლმე, რომელსაც იდეალად გადაქცევია „დასავლური“ ცხოვრების წესი და ნთქავს ყოველგვარ უხამსობას. ხდება ღირებულებათა აღრევა, დრომოჭმულ ტრადიციათა რანგში გადადის ეროვნული ცნობიერება, ქართული ოჯახის ფენომენი და ა.შ.

თუ ასე გაგრძელდა, იქნებ მართლა აუსრულდეთ სურვილი ჩვენი ქვეყნის მტრებს - „საქართველო უქართველებოდ“.

მაგრამ არა, ისტორიული გამოცდილების შედეგად ქვეყანამ გამოიმუშავა თავდამცავი იმუნიტეტი, და ღმერთმა ნუ ქნას მისი საბოლოო მოშლა. ერის სული ხომ ყოველთვის უკიდურესი შეჭირვების ჟამს განგაშებს. მე არ ვკარგავ იმედს, რომ ქართველი ახალგაზრდობა მოიშორებს თავსმოხვეულ ჭირს, წინ აღუდგება ახალ-ახალ ხროვებს, რომელთა მეშვეობითაც ცდილობენ „საქართველო“ მხოლოდ ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინად აქციონ. დიახ, ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია, ოღონდ უნდა ვირწმუნოთ საკუთარი სიძლიერე, ხელუჩაკიდებულები დავდგეთ ერისა და ქვეყნის გადასარჩენად. ჩვენ მოვინდომოთ და ღმერთიც შეგვეწევა.

დავით ლომსიანიძე

«ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲗᲐᲚᲘᲡ ᲖᲔᲕᲘᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲮᲕᲐ ᲖᲔᲪᲐᲐ. ᲡᲐᲘᲗᲙᲔᲜᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲚᲕᲬᲝᲓᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ»

ერთი თვის წინ ძველი ქუთაისის ერთ-ერთ ეიწრო ქუჩაზე მე და ჩემი მეგობარი მანქანით მივდიოდით. გზის მარჯვენა მხარეს, მიწაზე ნახევრად წამოწოლილი მოხუცი ქალი დავინახეთ. გულმა არ მოგვითმინა. ქუჩის სივიწროვისა და ორმხრივი მოძრაობის გამო მანქანა შორიახლოს გავაჩერეთ და იმ იმედით, რომ

გულწასული ქალისთვის გვეშველა, ნაბიჯს ავუჩქარეთ. თითქმის სამოცდაათ წელს მიტანებულმა მოხუცმა უნდო, ცივი გამომეტყველებით ამომხედა და წყენით მომიგო: რა გინდა, თავი დამანებე, წადი! ის, რისი თქმაც მსურდა, ბაგეებზე შემაციდა.

წამით მომეჩვენა, რომ უჩვეულო არაფერი მოხდარა. უსამართლო ცხოვრებამ, მძიმე სოციალურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ განსაკუთრებით დააბეჩავა საზოგადოების ერთი ნაწილი. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა თუ საზოგადოების თავშეყრის ადგილებში მომრავლდნენ ხელგამოწვდილი მათხოვრები, უპოვარი მოხუცები, ქუჩის მაწანწალა ბავშვები. ისინი, სამწუხაროდ, ჩვენი აწმყოა. ღმერთმა ინებოს, რომ მომავალში შემცირდეს მათი რაოდენობა. დღეისათვის კი, ალბათ, ვერსად გავიცლით ქალაქის ქუჩებში, წყალობისათვის ხელგამოწვდილი დიდი თუ პატარა რომ არ დავინახოთ.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, კაფე „ბისტროსთან" უკვე მერამდენე წელია მცირეწლოვანი გოგო-ბიჭები (ე.წ. „ციგნის მაწანწალები") დილიდან საღამომდე დახმარებას ითხოვენ გამვლელ-გამომვლელებისაგან, კაფეს სტუმრებისაგან, მძღოლებისაგან. მშობელთა ზრუნვას მოკლებული მოზარდები ზოგჯერ მოურიდებლები და აგრესიულები არიან. თუ თხოვნა არ შესრულე, იმედი უნდა გქონდეს, რომ ლაზათიანად გამოგლანძღავენ; ზურგზე შემოგახტებიან, სელჩანთას გამოგგლეჯენ, უხეში სიტყვებით მოგმართავენ, დაგცინიან კიდეც და სხვა.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ბევრი მათგანი კანის სხვადასხვა ინფექციური დაავადებით არის დასნებოვნებული (რომ აღარაფერი ვთქვათ მათ სისუფთავეზე). ცხადია, კანის ზოგიერთი დაავადება გადამდებია; ჯანმრთელ და უვნებელ ბავშვს კი დაინფიცირების დიდი საშიშროება ემუქრება.

ისინი ბავშვობას ქუჩაში ატარებენ, ქუჩაშივე იზრდებიან და იკვებებიან. ალბათ დაგინახავთ, რომ ჩვილ ბავშვებს კალთით ურწევენ და იქვე, ქვაფენილზე კვებავენ.

ის, ვისაც ბედნიერი ბავშვობა არ გაახსენა, ვისაც აკლია მშობლის ზრუნვა და ალერსი, ვისაც სიცივეში, სიცხეში, ქარსა თუ ყინვაში ლუკმა-პურისათვის დილიდან საღამომდე ქუჩაში გაუტარებია, უთუოდ გაუცხოებულია საზოგადოებისათვის, დამახინჯებული ცნობიერება მას ბევრ სიავეს ჩაადენინებს, საფრთხეში ჩააგდებს არა მარტო საკუთარ თავს, არამედ სხვებსაც.

ჩვენს ცხოვრებაში ბევრს ნიშნავს, თუ როგორ ოჯახში ვიზრდებით, ვინ არის ჩვენს გვერდით, ვინ არიან ჩვენი უფროსები. ბედნიერია ბავშვი, რომელსაც კეთილი მაგალითი თვალწინ ჰყავს. სწორედ ასეთები უნდა იყვნენ ჩვენი მშობლები, ბებიები, ბაბუები...

გულსატკენია ადამიანთა სიღატაკე, სიმარტოვე, სიობლე- ორმაგად გულსატკენია, როდესაც ვერაფრით ვეხმარებით მათ. უარესიც, ზოგჯერ მათთან დამოკიდებულება რთულია საზოგადობისათვის. დუხჭირი ცხოვრებისაგან დაღლილი და გაღიზიანებული ადამიანი ხშირად კონფლიქტში შედის ადეკვატულ მათხოვართან, რომ როგორმე ჩამოიცილოს იგი.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ რამდენიმე დღის წინ, ქალაქის ცენტრალურ საკოლმეურნეო ბაზარში მოხუცი ქალი სცემეს ხორცის მოპარვისათვის. საუბედუროდ, სიმართლეა...

იქნებ შევიგნოთ, რომ ძლიერ გასჭირვებიათ ადამიანებს. თვიდან თვემდე პენსიების მოლოდინში სულიერად და ფსიქიურად დაძაბულები რას არ ჩაიდენენ, რომ თავი ირჩინონ.

აქვე მინდა ღირს ისააკ ასურის სიტყვები მოვიგონო: „ზონებით ყოველთვის გახსოვდეს გაჭირვებულთა უმძიმესი ხვედრი, რათა თავად გულით მადლობდე უფალს იმ უმცირესი უბედურებისათვის, რომელიც შენზედ იგზავნება, რათა მუდმივად შეძლო მათი სიხარულით დათმენა".

...

ჩემს პატარებს უნდათ, რომ დედა მუდამ ახალგაზრდა და მომღიმარი ჰყავდეთ: მე რომ დიდი გავიზრდები, დედა მოხუცი იქნება; მე კი ეს არ მინდა! - სევდით უთხრა უფროსმა ძმამ უმცროს დაიკოს.

ამ სამყაროში ყველაფერი ხანმოკლეა, მაგრამ „ცისფერი თაღის ზევით კიდევ სხვა ზეცაა, საითკენაც უნდა ილვწოდეს ყველა ცოცხალი".

ეს სიტყვები ცხოვრების ყველა გარემოებას, სულის ყველანაირ მდგომარეობას ესადაგება. მთავარია, მუდამ გვიყვარდეს ერთმანეთი, მხოლოდ ასეთი ჰარმონიული თანხვედრის



შემთხვევაში გვეკოლება ბედნიერი ბავშვები და ტკბილი მოხუცები. ნათელია სიცოცხლე და აღსრულება ყოველთა, ვინც მოიხვეჭა სიყვარული, რადგან მან მოიხვეჭა თვით უფალი, რადგან ღმერთია სიყვარული".

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲔᲓᲝᲕᲚᲐᲗᲝᲑᲐ

(ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

„ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ"

ᲒᲔᲚᲐ ᲯᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გერმანიის „ევამერთიანებლისა" და საქართველოს დამაქცევარის ვარსკლავთან ახლოს დაგეგეგ ოდითვან მისი ურთგულესი თანამდგომქუშეკრდომის, ოქტომბერ-ნოინერია-კომკავშირ-კომპარტიის წარჩინებულის, კლასიკური წარმომადგენლის, ალმასკომის თავმჯდომარეობის, რაკომისა და ცეკას მდივნობის სკოლაგამოვლილის, ეროვნული ხელისუფლების მოდაწყობისას თვალს მფარებელ-მაყურებელის, სისხლიანი გადატრიალების მხარდამჭერისა და მონაწილის, „პროვინციული ფაშიზმისა და დიქტატურის დამარცხებლის" - შევარდნაძის „კლასიკურ ეპიკურ „დეპუტატის" მანდატით დაჯილდოებით დაწყებული და მერე „სახელმწიფო მინისტრის" პორტფელმოძებულის, მაგრამ, მალეე „ჩამოქვეითებულის" და სანაცვლოდ, შტატანი „პარლამენტარობითა და უმრავლესობის თავმჯდომარეობით", მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეობით, გადამხდელთა კავშირის წინამძღოლობითა და სხვა ბევრი თანამდებობა-წოდებით დაკმაყოფილებულის, „ქრისტიან ტაძარმშენებლად" მოვლენილისა და სხვა „საქვეყნოსახალხო" საქმეთა განმცხადებლის, „ეტეოსანი ვზით, ალალი გარჯით დაგროვილი" უთვალავი რაოდენობის ფულის მშობელის, მეგობარ-თანამოაზრეებისაგან ფულის ტოტად სახელშერქმეულის. ამის გამო „ცილისმწამებელთა სასამართლოში ჩვენით დამუქტებლისა" და მერე ჩაჩუმებულ ნლეკიშვილის სახელდასათლელი ქის ბსათის.

მართალია, ყოფილმა „სახელმწიფო მინისტრმა", რუსეთის „ელჩყოფილმა" ვ.ლორთქიფანიძემ ბოლოხანს ოდნავ „უკმა და ურჩის დაუწყო" პატრონსა და მფარველს, მაგრამ კომკავშირში დაფრთიანებული და კომპარტია-ცეკაში დავაკაცებულ-დაღეინებული, "შოფერი რანგის პოლიტიკოსისაგან" მოლიანად არ გაიწირა და მისი ნება-სურვილის უსიტყვოდ აღმასრულებელს უნივერსიტეტის პროფესორობა და კეთილის გაძღომა ეხოა ჯიდ, სახელმწიფო საქმეების „მოგვარებით მოელილ", ეხლა ამბიდან შეუძლია „ეროს არსაკლეს სასასეხისმგებლო საქმეოა-ეოსუფლა და დამუშედებელ საშობლის მაღალკვალიფიკაციური მეცნიერები და სპეციალისტები მოუმზადოს", ამგვარ დამახურებებს კი, დაკვეთანხმებით, შესაფერისად დაფასება მართებს. და დაუფასდება ეგი „ამაგი ვალმოხდილს". ინდოეთიდან წმიდა ქეთევან წამებულის ნეშტის საქართველოში ვერ გადმოხვენების ერთ-ერთი მთავარი სახელდებული ვარსკლავი „პრეზიდენტის" ვარსკლავის სიახლოვეს დაიგება.

ქვის მომდევნო მნათობი, შევარდნაძის „ვარსკლავეთში," რუსეთის სპეცსამსახურების მერ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასათვის საგანგებოდ მიჩენილი მოენის, ჭეშმარიტად კლასიკური კომუნისტის, თბილისის საზარელი ომის ერთ-ერთი სულისჩამდგმელისა და მონაწილის, საქართველოს დამაქცევარისა და გამყიდველის, ერის მოღალატის, მეცნიერის სახელმძღვანელი თ. სიგუას სახელობისა იქნება.

გრანტის ვარსკლავს დაუგებენ მარადყამ უაზროდ და საეჭვოდ მოხეთხეთს, ეროვნულ მოძრაობაში შეუბაზნილს, 1991-92 წლების სისხლიანი გადატრიალების ერთ-ერთ წამომწყებსა და მონაწილეს, კვლავ „ეამინისტრებულსა და გადეპუტატებულს", მერე თანამოაქმე „პრეზიდენტისგან გაწირულს", ბოლოხანს რუსეთს „ეადაჩვენილს", იქაური სპეცსამსახურების უძველეს თანამშრომელს, მსატვრის სახელმოწებებული „სამხედრო სტრატეგს" - თ. ეოტოვანს.

„სამხედრო ჰირი" ვახსენეთ და დარწმუნებული ვართ, ხსენებულ დარგოან დაკავშირებული პიროვნების ვარსკლავს უეჭველად შევარდნაძის ვარსკლავის სიახლოვეს მიუჩენენ ადგილს. შემზარავია 1991-92 წლების ძმათამკვლეელ ომის აქტიური მონაწილის მერ მეცნიერებათა აკადემიაში მოწყობილ შეკრებაზე დაუფარავი სურვილის გამოთქმა - მთავრობის სახლის მიწასთან გასწორების და იქ მყოფთა ამოხოცვის შესახებ. მართალია, ამგვარი „რაინდობის" გამეფლავნებისა და კანონიერი ხელისუფლების, პრეზიდენტის წინააღმდეგ მებრძოლი და „ეამარჯვებული" გეარეარაშვილი „თავდაცვის მინისტრობით" დასაუქრდა, მაგრამ მოეკვანებით, ინვალიდის ეტლში მჯდომმა ეგი ურეკვ ნობათად და დიდ შეცდომად ალიარა.

სახელობითი ვარსკლავის ცეკას მოედანზე დაგება ნამდვილად უპრიანია საბჭოთა კავშირის დეპუტატების ყრილობაზე „დამი ი გასხადას გამოოვნელი" მისალმებით გამოსულისა და ამერიკამოვლილის, სუკის დაქვემდებარებაში მყოფი საქანფორმის მთავლიტად წოდებული თანამშრომელი ა. ახალანიასთვის, ამის თაობაზე საქვეყნოდ რომ წაბაძახეს „პარლამენტში". მართალია, „ცილისწამებით შეურაცხყოფილი" წამომძახებელს „სასამართლოში ჩვილით" დაემუქრა, მაგრამ სამინოდ არაფერი გაკეთა. არაფერი გაკეთა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ამ მადალჩინოსანმა ერისათვის უმძიმესი უბედურების - თბილისის ომის დროს - მოსკოვიდან მიღებული დავალების თანახმად, „ეკულის მძიმე შეტევით დაუძლურებული, ლოგინად ჩავარდა" და ქოთულეთში ჩაკეტა. მერე კი „ოდნავ მოჯობინებულმა" დასავლეთ საქართველო დალაშქრა და პრეზიდენტის, ხელისუფლების დასაცავად თბილისში წამსვლელი იქაური მოსახლეობა „ხატზე ფიცმტკიცით" სისხლისმღვრელი ომის „დასრულებასა და მშვიდობიანობაში" დაეკერა, ადგილზე დარჩენაში დარწმუნა. დავალებაშესრულებული, ძალმოძრეობით დამკვიდრებულთაგან კვლავაც მადალ-ზურგიან ბავარძელს ელოდა, მაგრამ ხელი მოეცარა - უმადურმა „ხელისუფლებამ" ხელთ მხოლოდ რიგითი „დეპუტატის" მანდატიდა მაჩჩა...

შემდეგ ვარსკლავს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრისა და შევარდნაძის „პარლამენტის დეპუტატ" დ.ხაბულიანის სახელობისას დაგებენ. ექსმინისტრიც ავადმოსაგონარი თბილისის ომის დროს „დაზარალდა". „ავის მოსურვილებმა თვალებში საწამლავი შეასხეს და აბა, უსინათლოდ შთენილი მინისტრი", თანაც ყოფილი მოჭიდავე, რიალსი მაჭისი იყო. მერე საქართველოს დაცემის, ქართველთა სისხლში ჩახშობის, კომუნისტურ-დიქტატორული რეჟიმის აღდგენისა და ხუნტას არჩევნებში „გამარჯვებული", ქვეყნის „აღმშენებლობის" ფერხულში ჩაება. გულდაგულ ასუფთავებს საქართველოს „უსარგებლო და ზედმეტი ჯარისაგან".

იქვე ახლოს დაუგებენ ვარსკლავს რამდენჯერმე შინაგან საქმეთა მინისტრად, მის მოადგილედ, მილიციის სამმართველოს უფროსად დანიშნულ-მოხსნილს, თბილისის ომის დაწყების „ბრძანების გამცემის აღმოჩენ-გამომაშკარავებელ" რ. გგენაძესაც, მერე „სარწმუნოებაში რომ გადავარდა" და ნარიყალას ციტადელში, წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის აგებაში მონაწილეობით რომ „უცდაცო" სახელი ოვისა.

შინაგანი ძალების ყოფილი შეფის ვარსკლავის გვერდით საკუთარი მართებულად დაგებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ლაბის სამაგვარ ბალის ასაკიდან შეგზავნილი „დისიდენტის", ხალხის ნებით არჩეულ პრეზიდენტს დაპირისპირებული ი. ბათიაშვილის ვარსკლავს. ღალატისა და განდგომისათვის მშობლიური სამინისტროს შეფად დაჯილდოებული, გაკვეული რომ ბრძანება კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მომზადება მოპიტინგეების დარბევისა და დასვის. ბატონ ზვიად გამსახურდიას მოშორება დაჭერეტას რომ მოაწერა ხელი. დავალებაშესრულებული „პარლამენტარი" სისხლიანი „ხელისუფლების ოპოზიციონეობას" რომ ირემებს, ურიცხვი რადიო-ტელეფ-საკაზეთი ინტერვიუებით რომ „ებრძვის" უსამართლობას.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

ჩვენი რწმენა

სიძვის ცოდვა

არქიმანდრიტი ლაზარე

ძველი აღთქმის წიგნებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ხორციელ გულისთქმას ხშირად მთელი ხალხები დაუღუპავს, ღვთის რისხვა და სასჯელი დაუტეხავს მათთვის. წარღვნის დროს მთელი კაცობრიობა განადგურდა, რვა ადამიანის გარდა, ესეც ღმერთის სასჯელი იყო გარყვნილებისათვის. სოდომის მხარე მდულარე გოგირდით მოისრა, ხუთი ქალაქი მთელი მოსახლეობით განადგურდა, მის ადგილას ახლა მკვდარი ზღვაა, რომელშიც თევზი ვერ ცოცხლობს, და რომც გამოყვეს შემთხვევით იორდანეს წყლებს, მაშინვე იღუპება. იქაური მიდამოც მკვდარია, უსიცოცხლო მტვრითა და ფერფლით დაფარული, იქ ჰაერიც კი შხამიანია: ასეთია ღმრთის რისხვის საშინელი კვალი, რომელიც ყოველთვის უნდა გვახსენებდეს, თუ რა მოელის ცოდვილს საუკუნო ცხოვრებაში და რაოდენ საძაგელია სიძვის ცოდვა ღვთის წინაშე.

ჩვენ ვიცით, რომ ქვეყნის აღსასრულის ჟამს მთელი დედამიწა გადაიბუგება ღმრთის მცნებების დატეგებისა და თავაშვებული გარყვნილებისათვის, სატანის თაყვანისცემისა და მისი ნების აღსრულებისათვის. დღეს ხომ ამ გახრწნილებამ განსაკუთრებულ მასშტაბებს მიაღწია. უსჯულოთა მთელი საკრებულოები გაჩნდა, ისინი საკუთარ კლუბებსა და ფირმებს აყალიბებენ, საკუთარ „ხელოვნებას“ ქმნიან, მთელ ქვეყანას ჯარნახობენ მოდას და გემოვნებას, ილუსტრირებულ წიგნებსაც კი ბეჭდავენ და თან რჩევებსაც ურთავენ - როგორ უფრო დახვეწილად უნდა მიეცნენ ხრწნილებას, როგორ უფრო მეტად შეიბილწონ სული და სხეული.

ამ საცთურის ფართოდ დასანერგად თანამედროვეობის ყველა მიღწევას იყენებენ - ტელევიზიას, კინოს, რეკლამას, ჟურნალ-გაზეთებს, მუსიკას, ლიტერატურას - მოკლედ, ყველაფერს, რაც ესოდენ დიდ გავლენას ახდენს ადამიანის სულზე. დღეს პატარა ბავშვმაც კი იცის ის, რაც უწინ მხოლოდ ხელიდან წასულმა ნაძირლებმა იცოდნენ. ბავშვები, სოდომელ ყრმათა მსგავსად, თავგამოდებით ცდილობენ მიბაძონ უფროსებს, სასიკვდილო შხამი შესვან, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მძიმე ნაიარევად გაყვებათ, რამეთუ არცერთი ცოდვა არ იდგამს ფესვებს სულში ისე ღრმად, როგორც სიძვა, მით უფრო, ბავშვობაში შეცნობილი.

დიდად განურისხდება ღმერთი სიძვის ცოდვით შესვარულ ადამიანს, რადგან იგი არა მხოლოდ გადადის ღმრთის მცნებას, რომელიც ბრძანებს, არა იმრუშოო, არამედ თვით ძე ღმრთისას, ქრისტე მაცხოვარს შეურაცხყოფს, რადგან მოციქულის თქმით, „ხორცნი ეგე თქუენნი ასონი ქრისტესნი არიან“.

ამ შხამიანი სასმელის გამავრცელებელნი მძიმე ცოდვას სჩადიან და მკვლელებსა და მძარცველებს აღემატებიან. წმ. სახარება ნათლად გადმოგვცემს უფლის სიტყვებს: „გესმა, რამეთუ ითქუა: არა იმრუშო, ხოლო მე გეტყვი თქუენ, რამეთუ ყოველი, რომელი ჰ ხედვიდეს დედაკაცსა გულისთქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა. გულსა შინა თვისსა“ (მათე, 5,27-28).

ძველი აღთქმა ისრაიტელებს კანონად უდებდა, რომ სიძვის ჩამდენნი ქვებით ჩაექოლათ და მერე დაეწვათ. დღეს კი საზოგადოებაში, რომელიც თავის თავს ქრისტიანულს უწოდებს, სირცხვილად სიძვა და გარყვნილება კი არა, უბიწოება ითვლება. ბევრ ჭაბუკს, ვისაც ჯერ არ შეუბილწავს სხეული სიძვით, რცხვენია ამის გამო თავისი ტოლებისა და ცდილობს თავი ისე დაიჭიროს, თითქოს გარყვნილი კაცია, თანაც შემთხვევას ეძებს, რაც შეიძლება მალე შეიცნოს ცოდვა, რომ ამხანაგებთან თავი მოიწონოს და მათი პატივისცემა ძოიპოვოს. და ეს არ არის ერთეული შემთხვევა, პირიქით, საყოველთაოდ გავრცელებული ამბავია.

დიდად განურისხდება ღმერთი სიძვის ცოდვით შესვარულ ადამიანს, რადგან იგი არა მხოლოდ გადადის ღმრთის მცნებას, რომელიც ბრძანებს, არა იმრუშოო, არამედ თვით ძე ღმრთისას, ქრისტე მაცხოვარს შეურაცხყოფს, რადგან მოციქულის თქმით, „ხორცნი ეგე თქუენნი ასონი ქრისტესნი არიან“ (1 კორ. 6,15).



ის, ვინც სიძვას ჩადის, თვით ხორციელ სიკეთეებსაც კარგავს-ჯანმრთელობას, ნაკვთების სიმშვენიერეს, თვალთა სილამაზეს, სასიამოვნო ხმას, სიმხნევეს, სიმამაცეს, ძალასა და სიმტკიცეს. ყველაზე დიდი საფრთხე სულისათვის ღმრთის მადლის დაკარგვაა, რადგან, თუ არ შეინანა, იგი უცხო ექმნება ღმერთს. მას მოელის საუკუნო სატანჯველი, დაუშრეტელი ცეცხლი და დაუძინებელი ძატლი, უკუნი სიბნელე და ჯოჯოხეთის უფსკრული, რომლის წინაშე თვით სატანაც კი ძრწის.

„და უფალმან აწვიმა სოდომსა და გომორსა ზედა წუნწუბაი და ცეცხლი უფლისა მიერ ზეცით“ (დაბ.19,24). ციდან მომავალი ქვები ცეცხლოვან გოგირდს აფრქვევდა. მართლაც, სასტიკი სასჯელია, რადგან გოგირდი ყველა სხვა ნივთიერებაზე უფრო იოლად იწვის, თანაც საშინელ სიმყრალეს გამოსცემს. ეს სასჯელი ნამდვილი საზღაური იყო სოდომის ცოდვისთვის: ხორციელი განხურვების წილ - ცეცხლი, ცოდვის სიმყრალის წილ - გოგირდის სუნი. სამოთხეს ჰ გავდა სოდომის მხარე, ვიდრე სოდომელებმა ღმერთი არ განარისხეს, ახლა ჯოჯოხეთს დაემსგავსა - უნაყოფო, ულამაზო, ბნელი და მყრალი გახდა.

სიძვის ჩამდენს ღმერთი განეშორება, სულიწმიდა წუხს, ანგელოზები გაურბიან, სულიერი ნაყოფი ქრება და რჩება სული ცოდვის სიმყრალით მოცული. მაგრამ, სოდომისაგან განსხვავებით, სული იმითაა ბედნიერი, რომ თუ მოისურვებს, ძალუძს სინანულის გზით ჯოჯოხეთის ხატებიდან კვლავ სამოთხის მშვენიერებას მიემსგავსოს.

მინაწერი:

არაერთი მაგალითი იცის ეკლესიამ ამ ცოდვით დაცემულთა აღმართვისა. მრავალმოწყალე მაცხოვარმა ჩაქოლვისაგან იხსნა მარიამ მაგდალინელი და განაშორა ბოროტ სულებს. ღვთისმშობელმა აღუხილა სულიერი თვალი მეძაობაში მყოფ მარიამ მეგვიპტელს, რომელმაც თავისი შემდგომი ღვაწლით გამოისყიდა ცოდვა: დღეს ისინი წმიდანთა დასთან ერთად ლოცულობენ ადამიანთა წარწყმედისაგან დასაცავად. მათი ლოცვა შეგვეწიოს ჩვენ, ათასგვარ საცდურსა და განსაცდელში მყოფთ, და ესრეთ ვილოცოთ:

„შენ შორის საკვირველო დედაო, კეთილად დაცულ იქმნა ხატება, რამეთუ აღიღე ჯვარი და შეუდექ ქრისტესა, და მოქმედი ასწავებდი შეურაცხყოფასა ხორცთასა, ვითარცა წარმავალსა, ხოლო ღვნასა სულისასა, ვითარცა უკვდავისა არსებისასა, რომლისათვისცა ანგელოსთა თანა იხარებს სული შენი ნეტარო, მარიამ“.

წიგნიდან „აღსარების საიდუმლოსა და ცოდვებისათვის“
მასალა მოამზადეს
ლუიზა ხაჭაპურიძემ და თეა ცირეკიძემ
მამა ლაზარეს (კანდელაკი)
ლოცვა-კურთხევით

მოგონება

მოულოდნელი შეხვედრა

1971 წლის გაზაფხულზე, როგორც ბავშვობიდან ინვალიდს, მანქანის შეღავათიან ფასში გამოყვანის (ყიდვა) რიგმა მომიწია. რადგანაც იმ დროს ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, საჭირო თანხა არ აღმომაჩნდა, არადა ორ კვირაში თუ არ გამოვიყვანდი მანქანას, ვკარგავდი რიგს და მას ჩემს შემდგომ ინვალიდს დაუთმობდნენ, რის გამოც ერთი წლით უნდა დავმშვიდობებოდი იმ სანატრელ მანქანას, ჰაერივით რომ სჭირდება ჩემისთანა კაცს. გადავწყვიტე გარკვეული თანხა მესესხებია, მაგრამ ორ კვირაში მაინც ვერ შევაგროვე. იმ ხანად სწავლასთან შეთავსებით ვმუშაობდი გაზეთ „თბილისის“ შტატგარეშე კორესპოდენტად და აი, ერთ-ერთმა თანამშრომელმა მირჩია, მივსულიყავი ბატონ კონსტანტინე გამსახურდიასთან და ჩემი გაჭირვება ამეხსნა.

- რას ამბობ, ასეთ ცნობილ კაცთან როგორ მივალ ამ საკითხზე-მეთქი?

- ნუ მოგერიდება, მე კარგად ვიცნობ მის გულკეთილობას, შენ ოღონდაც გაბედე და მიდი, აუცილებლად დაგეხმარებაო.

სასტიკ უარზე ვიყავი, ასეთ ბუმბერაზ ადამიანს ვერ შევაწუხებ-მეთქი - რას იზამ, სხვა გზა რომ არ არის, უნდა გაბედო. ვიცოდი, ვაკეში, კოლხურ კოშკში რომ ცხოვრობდა, მაგრამ რომელ ქუჩაზე აღარ მახსოვდა. მაშინ ჩემმა თანამშრომელმა მითხრა: - მე ვიცი სახლი, წაგყვები, მხოლოდ მარტო შენ შეხვალ, მე კი გარეთ დაგელოდებიო. ბოლოს ძალიან რომ გამიჭირდა, გავბედე და წავედით.

ზარის ღილაკს ხელი დავაჭირე, გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო. ვფიქრობდი, ვინ შემხვდება, როგორ მიმიღებენ. გაგებული მქონდა, რომ ბატონი კონსტანტინე გამსახურდია მწერალთა კავშირშიც იშვიათად დადიოდა, შეხვედრებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მასთან ცნობილი ადამიანები თუ მიდიოდნენ, ჩემისთანა უბრალო კაცს მიიღებდა თუ არა, ესეც არ ვიცოდი.

ცნობისათვის: იმ დროს მეც ვწერდი ლექსებსა და იუმორებს, რომლებიც რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა, მაგრამ როგორც პოეტსა და იუმორისტს, ფართო ლიტერატურული საზოგადოება ჯერ არ მიცნობდა.

კარი ახალგაზრდა ქალმა გამიღო. ვინ გნებავთო?- მკითხა და ფეხიდან თავამდე შემათვალიერა.

- ბატონი კონსტანტინე მინდოდა-მეთქი - ვთქვი ძლივს გასაგონად და ვგრძნობდი, შუბლი ოფლით როგორ მისველდებოდა.

- მობრძანდით, სახლში გახლავთო - თავი მდაბლად დამიკრა და კარი დაკეტა.

მივდიოდი, მაგრამ ფეხები უკან მრჩებოდა. პირველ სართულზე საშუალო ზომის ოთახში შევედით, იქიდან კი ხის რიკულებიანი ხვეული კიბით მეორე თუ მესამე სართულზე ავედით და ბატონ კონსტანტინეს ოთახს მივადექით. ცოტა ხანს კართან გამაჩერა, თვითონ მის სამუშაო ოთახში შევიდა და ჩემი მისვლა აუწყა. თანხმობა რომ მიიღო, შებრძანდითო, და რაღაც წამებში ბატონ კონსტანტინეს პირისპირ აღმოვჩნდი. იგი მაგიდასთან იჯდა და წერდა. დამინახა, წამოდგა, შუა ოთახში მომეგება და ხელი ჩამომართვა. გავოცდი, როდესაც ჩემს წინ საშუალო ტანის, პირხმელი, კახური ქუდით ბატონი კონსტანტინე დავინახე. მე უფრო ახოვან, დაკუშტულ და უხასიათოს მოველოდი.

ბატონმა კონსტანტინემ სკამი დამიდგა თავის მაგიდასთან და მოსასმენად მოემზადა. ძალიან მიჭირდა საუბრის დაწყება, მაგრამ თან მეამაყებოდა კიდეც მასთან სტუმრობა. ჩემი გვარი რომ გაიგო, მივხვდი, ესიამოვნა და მკითხა, სადაური მამულაშვილი ხარო.

- მიხეილ მამულაშვილს თუ იცნობო.

- როგორ არა, შარშან მასზე ნარკვევიც კი დავწერე გაზეთში - მეთქი.

ახალგაზრდა კაცმა ფეხი სად დაკარგეო, - დაინტერესდა ბატონი კონსტანტინე და საწერკალამი სამელნითურთ ახლოს მიიწია: - მატარებლების ავარიაში მოვხვდი ათი წლის ასაკში და იქ დავინვალიდდი-მეთქი. მერე აიღო ლამაზი ხოხბისფრთის კალამი, თეთრი ქათქათა წერილი და ბარათი დაწერა. მისი შინაარსი ასეთი იყო:

„ბატონ კარლო გარდაფხაძეს (მაშინ სოცუზრუნველყოფის მინისტრი იყო).

ეს ახალგაზრდა ჩემი ახლობელია, მოუსმინეთ და შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ. თქვენი კეთილისმსურველი - კონსტანტინე გამსახურდია“.

სანამ ბატონი კონსტანტინე წერილს წერდა, მის ოთახს ხარბად ვათვალიერებდი, თითქოს მინდოდა, ყველაფერი დამემახსოვრებია და გონებიდან არასოდეს წაშლილიყო. სადად მოწყობილ დიდ ოთახში, სადაც რამდენიმე სურათი ეკიდა კედელზე, წიგნების კარადა და საწერი მაგიდა იდგა. ბატონმა კონსტანტინემ წერილი ოთხად მოკეცა, კონვერტში ჩადო, გადმომცა და წარმატება მისურვა, მერე ღილაკს თითი დააჭირა. ისევ ის ქალი ამოვიდა, ერთმანეთს დიდი ხნის ნაცნობებივით დავემშვიდობეთ და წამოვედი. იქიდან წამოსვლის დროსღა შევნიშნე სახლის წინ მდებარე მოზრდილ ეზოში ბუნების მშვენიერი საოცრებები: სხვადასხვა ზომის ფარშევანგები, შვლები, ხოხბები და იადონები. ეს ულამაზესი ფრინველები ისეთ ხმაზე გალობდნენ, თავი სიზმარში მეგონა. გარეთ რომ გამოვედი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თანამშრომელს წერილი ვაჩვენე და სამჯერ გადავკოცნე. კაცი ხარ-მეთქი. მან ძალიან გაიხარა, ეს ყველაფერი ხომ მისი დამსახურება იყო.

- ამ წერილს რამხელა მნიშვნელობა აქვს, ვერ წარმოიდგენო. ასეთი წერილის პატრონი იშვიათად გახდება ვინმე, მასთან შესვლა არც ,ასე ადვილია, ბედი გქონია, ძალზე გაგი'ართლაო.

- იქიდან პირდაპირ ეკლესიაში წავედი, სანთელი დავანთე და ბატონი კონსტანტინეს დიდხანს სიცოცხლისათვის ვილოცე.

ზურაბ მამულაშვილი

რატომ არის ლუდოვიკო ოდენ ქვად ქცეული მხედარი? ანუ პარიზის ამბები და კიდევ... მთავარი!

ტარიელ ფუტკარაძე

აკლდამა

გერმანია... ცარიელი და დიდი სივრცეა საქართველომდე; ელექტრონული ფოსტით მიღებული ინფორმაციები და წერილები, ასე მგონია, აკლდამაში ჩამომდის...

ორი თვის წინ აქ (ფრანკფურტში) გავიცანი ემიგრირებული გერმანელები, რუსები, ებრაელები, ბელორუსები... და ა.შ. ქართველებიც! მათგან ბევრი რამ გავიგე, მათ შორის ტურისტული ბიუროების საინტერესო მისამართები; მონათხრობთა მიხედვით, აგრეთვე, ერთი თბილი და ლამაზი ბელორუსი ადამიანის რჩევით, ყურადღება შევაჩერე ერთ-ერთზე (ჩემი აზრითაც, უფრო სანდოზე!)... რა თქმა უნდა, ებრაელთა ფირმა აღმოჩნდა — ესენი აქაც საიმედოდ და ჭკუით მუშაობენ: ფულს წინასწარ ითხოვენ და თან გარანტიას იძლევიან...

ულვაშის ღერი

პარიზისთვის დიდხანს ვემზადებოდი, მაგრამ ნაცნობთა წრე სასიამოვნოდ არ იკვრებოდა: ჩემს თანამემამულე თანმხლებ გოგონებ-გოგჩებს თავიდან ეშინოდათ: არ მოგვატყუონო(ამოქმედდა ამ ბოლო დროს საქართველოში ულვაშის ღერის ნაცვლად დამკვიდრებული გ ა ა გ დ ე ბ ი ს საწინააღმდეგო იმუნიტეტი...), მაგრამ, ბოლოს მაინც ენდნენ ჩემს მიერ არჩეულ(?)ფორტუნას (არ გაგიკვირდეთ, ბედი კი არ გვირჩევს, არამედ, ჩვენი განსჯის მიხედვით ბედს ვირჩევთ და შესაბამისად, გვეხმარება კიდეც ღმერთი!) თუ მათ მიერ შემოწმებულ ფირმის წარმომადგენელს და ბოლოს, მათაც გადაწყვიტეს წამოსვლა.

...როგორც იქნა ფრანკფურტიდან დავიძარით დილის 5 საათზე; წავედით ბონისა და კიოლნის გავლით. გზაზე არცერთი პოლიციელი; საზღვარზეც კი არ გვინახავს ფორმიანი ინდივიდი, არადა პარიზამდე სამი ქვეყანა გავიარეთ... რა თქმა უნდა, წარწერების ენა იცვლებოდა, აგრეთვე, ლანდშაფტი და ამინდი...

რომ არ გამიგრძელდეს:

პარიზის გლდანი

მივუახლოვდით პარიზს; ელი კაცი რაღაც არაჩვეულებრივს და, უცებ: შედიხარ გლდანში ავჭალის მხრიდან... ოღონდ, უფრო დიდ, გლდანისებრ გლდანში, სადაც ხალხიც ცხოვრობს და უხეშ-შენობებიანი ბევრი წარმოებაცაა... თან მოსაწყენად წვიმს. ერთი არსებითი სხვაობაა მხოლოდ — პარიზის გლდანში უფრო, ძალიან უფრო, შავ-შავი ხალხი დადის; ზედიზედ ერთ-ორ თეთრკანიანს რომ მოვკარი თვალი, თავი უკვე სანზონაში მეგონა... ჩემი მოლოდინი უშუქოდ იღვენთება... არადა, პიკის საათია, გაიწელა მრუმე განწყობა... ავტობუსსმიღმა სამყაროს ცქერას ვარჩევ თანამგზავრთა ახალნაცნობ მოლამაზო თუ ლამაზ სახეებზე შევაჩერო მზერა, მაგრამ თვალი მაინც გარეთ გამირბის...

რაიმონდა

ნელ-ნელა გააქტიურდა თეთრი ფერი ქუჩებში და რეკლამების ფონიც გაიცრიცა ლამაზი ფასადებით. ერთ-ერთი ხიდიდან კი, უცებ, შორიდან დავლანდე ბრწყინვალე პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი. გაელვებულმა მშვენიერებამ ისევ დიდი მოლოდინით აღმავსო; ამასობაში სასტუმროსთან გავჩერდით.

სასტუმრო იყო პატარა, არამდიდრული, მყუდრო და, მეგონა, იაფი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთი ღამე 400 ფრანკი ღირს (ერთი ადამიანისთვის), თუმცა, უმრავლესობისთვის, ალბათ, ეს თანხაც არაფერია.

სასტუმროდან გამოვთითოკაცდით დღის 4 საათზე და გავიცანით სასიამოვნო გიდი რაიმონდა — მუქმწვანე ვარდით ხელში, ღიამწვანე თვალებითა და განათებული სახით; ასე მეგონა პარიზმაც გამოიდარა... მალევე, მოძრავი ავტობუსის ფანჯრები კინოეკრანად იქცა:

ლამაზ-ლამაზი დოკუმენტური კადრების ისტორია ხმოვანდება რაიმონდას მწყობრი ბაგეებით... ავტობუსი თითქოს დგას და პარიზი ნელ-ნელა დადის ჩვენს გარშემო თავისი მდიდრული, დახვეწილი, არც თუ დიდი ქუჩებითა და ჰარმონიული მოედნებით.

ესმერალდა

პირველი ლამაზი გაჩერება — პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი! ავტობუსიც დგას და პარიზიც: „კინოდარბაზში“ კი შუქი აინთო — ამ ანტრაქტის დროს, სულ ახლოს, ცხადად გვთავაზობენ ლამაზ სიურპრიზს: მრავალესმერალდიან ეზოში ადამიანთა სულიერების ამსახველი მრავალგანზომილებიანი თეთრი ძეგლია აღმართული... ტაძრის ფონზე ვიღებთ სურათებს — ვამარადიულებთ შთამბეჭდავ წამებს. შემდეგ ეკლესიაშიც შევდივართ, მექანიკურად ვიწერ მართლმადიდებლურ პირჯვარს, მაგრამ გარშემო უფრო მუზეუმია. კათოლიკე მორწმუნეთათვის ტაძრის ცენტრია განკუთვნილი; ტურისტები კედლების გასწვრივ დავდივართ. ემოცია მიწონასწორდება: ევროპაში ნანახი სხვა ეკლესიების მსგავსად, უფრო გარედანაა შთამბეჭდავი ეს გრანდიოზული ტაძარიც — ვასკვნი...

მონმარტრი

ისევ ავტობუსში ვართ; ისევ ამოძრავდა პარიზი ჩვენს გარშემო: ნაირგვარი ფერადოვანი სლაიდების სახით მეხსიერებისკენ მოილტვიან ცენტრალურ ქუჩაზე გამომავალი ვიწრო ქუჩების უმშვენიერესი ხედები მარჯვნივ, მარცხნივ... წინ ვეღარც ვიხედები, თუმცა, იქაურობას რაიმონდას მშვენიერი ხმა ავსებს. ისევ ვჩერდებით:

მონმარტრი.

მხატვართა და მოხეტიალეთა საცხოვრისი ადრე, რატომღაც, ერთი დიდი ქუჩა მეგონა პატარ-პატარა ჩიხებით... პარიზის ეს აღმართდაღმართთიანი, ლამაზტაძრიანი, ვენახიან-ბახუსიანი, ქარისწისქვილიანი, ეროსცენტრებიან-კაბარეებიანი და, რაც მთავარია, ფერად-ფერად ნახატებთან შერწყმული ჭრელაჭრულახალხიანი ძველთბილისური უბნებით... მონმარტრი პატარა ქალაქია ქალაქში: ლამაზი და მეტყველი ბაგეა ვენერას სახეზე...

ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, ისევ გერმანიაში ვარ და პარიზული შთაბეჭდილებების „გახსენებაში“ სამი მუზა მეხმარება... მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, მეზობელ-მეგობრები ხანდახან ჩემეულ შთაბეჭდილებებს მიფრთხობენ... ასე, რომ ამჯერად ვეღარ ვაგრძელებ მონმარტრის სურათხატის ჩემეული ვარიანტის დასრულებას... მონმარტრზე სხვა დროს; ეს ცუდი და ცალკე სალაპარაკო თემაა...

უმშვენიერესად ჩანდა ბინდის ფსკერზე აჩირაღდნებული პარიზი მონმარტრის გადასახედიდან... სადღაც შორს ელავდა ეიფელის კოშკი — ჩვენი პირველი პარიზული დღის ბოლო სიმაღლე.

ეიფელის კოშკი

ავტობუსმა ეიფელთან საღამოს ათის ნახევარზე დაგვტოვა.

სხვადასხვა ფერის ჭიანჭველებივით ირეოდნენ ბაბილონის გოდოლიდან წამოსული და ეიფელთან თავმოყრილი არსებები; ფილოსოფიური სანახაობა იყო გიგანტი ადამიანის მსგავსად მდგარი ეიფელის კოშკის ფერხთით მოზუზუნე ხალხი... ამ კონტექსტში ფრაზა „ადამიანივით მდგარი“ ზუსტად გამოხატავს ხალხით სავსე მოციმციმე ეიფელის კოშკის მიერ შექმნილ შთაბეჭდილებას...

ავიდეთ ეიფელზე — ვთქვით. გარკვეულ თუ გაურკვეველ მიზეზთა გამო, ორმა ჩვენმა თანამგზავრმა უარი თქვა სიმაღლეზე... ბად კროიცნახელი ნაცნობი მაფრთხილებდა, არ ღირსო ეიფელის კოშკზე ასვლა; ჯობია ის ფული მონმარტის კაფეში დახარჯოო; თუ მაინცდამაინც, პირველ დონეზე ადი, მეორედან და მესამედან ხედი იგივეაო... რამდენი რამეა ჭკვიანური ნათქვამი, თუნდაც, გაგონილს ნანახი სჯობიაო: პირველ დონემდე ლიფტით ავედით; მეგონა ზღაპრულ და თბილ (ამ დროს ქარი იყო ეიფელზე!) სულიერებაში ავედით; გარშემო შავ-თეთრი სილუეტები, უფრო გარეთ კოშკის ოქროსფერი სამოსელი, სადღაც შორს კი უსაზღვრო ბინდის ფსკერზე თბილად მიყუჟული პარიზი... ზევით მეორე დონე იყო. ჩვენ, რა თქმა უნდა, ფეხით წავედით. სულიერ კოშკს გარკვეულ იდუმალებას აძლევდნენ ლიფტების კედლებსა თუ კონსტრუქციებში მიმოფანტული საქმიან ხელოსანთა ბუტაფორიული ფიგურებიც... მათ ასე საინტერესოდ ვერ ნახავდა ლიფტით ამავალ-ჩამავალი. თითქოს უცებ, შეუმჩნევლად ავედით მეორე დონეზე... რა დონეა! მარტივი სიმღერის ეს მუსიკალური ფრაზა აქ აღტაცებულ-აღმატაცებელი ტონალობით არაერთხელ აჟღერდა ატაცებული თბილისელი გოგჩების ბაგეებთან... ჩვენი ფოტოაპარატები ციმციმით ეიფელის ნათურებს ეჯიბრებოდნენ... შეუძლებელია ფოტოკადრმა შეინახოს იმხელა ემოცია... არა და, ყველას გვინდოდა სახეზე აღბეჭდილი ეს განცდა ჩვენ-ჩვენი ოჯახის წევრებისთვის სურათებით მაინც გადაგვეცა... მესამე დონისთვის დრო აღარ გვქონდა: ღამის პირველ საათზე პარიზის არცთუ საპარიზო მეტრო იკეტებოდა; მესამე დონე ისევ საპარიზოდ გვიხმობდა მაშინვე: ჩვენ დავბრუნდებით! — ეს სიტყვები სულაც არ იყო პათეტიკა... სიმაღლეზე ხეტიალის შემდეგ ლამის ასკინკილათი ვეშვებით კეთილი ბუმბერაზის ნამსხმანიდან (სხეულიდან)...

გვინდოდა გვესეირნა ღამის პარიზშიც, მაგრამ დაღლილობამ დასძლია თანამგზავრთ, თანაც, ღამის პარიზში საკმაოდ ცივად ცრიდა...

ლუვრი

მეორე დღე ისევ ქალაქის ზოგადი, *ფანჯრიდანული* დათვალიერებით დაიწყო და გაგრძელდა მდიდრული ლუვრით — ფრანგული რომანტიზმისა და პრაგმატიზმის შთამბეჭდავი ნიმუშით.. ბევრია პარიზში არაფრანგთა ქმნილებანი; ფრანგები, ეტყობა, ყოველთვის ცდილობდნენ, რომ მათთან თავმოყრილიყო მსოფლიო შედევრები...

შთაბეჭდილება:

ნამდვილი პარიზი თავადაა დიდი მუზეუმი, ხოლო ლუვრი მისი მადონაა...

ლუვრი — პარიზის სამეფო კარის ვნებების სავანე — მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ქმნულ შედევრთა უდიდესი გამოფენაა; ფრანგებმა თავიანთი აქ ბევრი ვერაფერი დადეს, მაგრამ შეძლეს ისეთი ველის შექმნა, სადაც დიდი ხელოვნება მიუსაფრად თავს ნამდვილად არ გრძნობს... ლუვრის აღწერა შეუძლებელია; ლუვრი ყველა ადამიანმა ერთხელ მაინც უნდა ნახოს, უნდა ნახოს როგორც საკუთარ წინაპართა შემოქმედება, ვინაიდან აქ მთელი მსოფლიოა გამოფენილ-წარმოდგენილი.... ლუვრში ბევრი სურათი გადავიღეთ; ამ მხრივ მე ორი სინაკლულე მაინც გამომყვა: ბოლოს, როცა წინაპართა ველში მარტო ვხეტიალობდი, წავაწყდი უზარმაზარი თეთრი ქვის ჯვარს ქართული (მსგავსი?) ორნამენტებით; სურათი ვერ გადავუღე — ფირი აღარ მქონდა.... ხოლო ლუვრში რაც შეიძლებოდა ახლოდან გადავიღე ჯოკონდა, მაგრამ სურათი მაინც არ გამოვიდა; ფირზე კი ჩანს მუქად...

ტანდაუბანელი ლუდოვიკო და სუფთა საბა

ლუვრიდან ისევ მოძრავი კინოკადრების პრინციპით მივუახლოვდით პარიზულ სივრცეს: ელისეის მინდვრები ანუ ფართო სიმწვანით მოსილი ვრცელი ქუჩა; ტრიუმფალური და სხვა თაღები; ბასტილიის, თანხმობის, ოპერისა და სხვა შესანიშნავად დაგეგმილი მოედნები; ისევ ლამაზი, ვიწრო ქუჩები(ერთ-ერთის ახლო სიღრმეში ნაზად იდგა შესანიშნავი რუსული მართლმადიდებლური ეკლესია) და შემდეგ... ვერსალის გზა.

საფრანგეთის მეფეების სანადირო ადგილას ლუდოვიკო XIV-მ დაასრულა ვრცელი სამეფო კომპლექსის მშენებლობა, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს განცხრომის შედევრი.

ვერსალი კარგად რომ აღვიქვი, ალბათ, ცოტათი გავღიზიანდი, ყოველ შემთხვევაში, აშკარად დავსვდიანდი: თვალწინ დამიდგა სულხან-საბას ჩამოსალკლდევებული სახე (არა, გაქვავებული!) ლუდოვიკოს უარის შემდეგ... ვერსალის ფუფუნებისთვის რამდენი ნიჭი, ენერგია, დრო, ფული (და სისხლიც) იხარჯებოდა, ჯვრისა და რუსთველის საქართველო კი ამ დროს რა მიუსაფარი იყო...

ვერსალის შენობებსა თუ მათ აღკაზმულობაზე უფრო შთამბეჭდავი ჩემთვის იყო ვერსალის გასართობი მოედნები თუ ველ-პარკები, ხელოვნური ტბები, შადრევნები და ნაირგვარი მხატვრული ქანდაკებები... თურმე ფრანგ მეფეებს ჭირის ეშინოდათ და ტანს საერთოდ არ იბანდნენ; ამიტომ მოიგონეს სუნამოები — ღიმილით გვითხრა რაიმონდამ!

რა გულგრილად მოექცა მდიდარი და დაუბანელი დიდი ფრანგი მეფე საბას! საქართველოს საერთოდ!

ვერსალში წვიმდა. ქარმა ქოლგაც გამიტეხა და სულხან-საბას ლანდმაც არ მომასვენა... არადა, არ მახსოვდა, საბა ვერსალში მიიღეს ცუდად თუ არც მიიღეს; იქნებ, ლუვრთან იცდიდა საქართველოს მაშინდელი დაქანცული სახე?

...ძალიან ნატიფი და თავისუფალი იყო სამეფო შენობის ირგვლივ ყველაფერი. საბას დავემშვიდობე: ეს ყველაფერი ხომ ადამიანის ხელით შეიქმნა, ე.ი. ჩვენ, ადამიანებმა შევქმენით!.. ნამგზავრმა ბერადაღკვეცილმა მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა და ვერსალის წინ, ცივქარიან ქვაფენილზე, ქვადქცეულ მხედარ ლუდოვიკო XIV-ს სიახლოვეს თითქოსდა სულ მარტო დავრჩი. მეფის სველი ქანდაკება ჩემთვის მხოლოდ ღია მუზეუმის ბუტაფორიული ექსპონატი იყო...

უტვინო თავი

ვერსალიდან გვირაბების თუ საუკუნეების გამოვლის შემდეგ, უკვე XXI საუკუნის პარიზში მიგვიწვიეს (ასე იყო ექსკურსიის გეგმით). უფრო დიდი და უსულო ხელოვნურობა ჯერჯერობით არ მინახავს: გრანდიოზული გულგრილობა და სიცივე — მოკლედ ასე შეიძლება, დავახასიათო იმჟამად ჩემში გამოკვეთილი შთაბეჭდილება, რომელიც, ამჟამად უკვე, დასკვნად ჩამოყალიბდა.

საინტერესოა ის, რომ პარიზის ერთ-ერთ საინტერესო ამ ადგილას დგას ადამიანის დიდი და ლამაზსახიანი თავი, რომელსაც მოგლეჯილი აქვს ქალა (თავის ქალა!). რაიმონდამ ახსნა: უჭკუო ადამიანმა შეიძლება ყველაფერი დაანგრიოსო... ეს ასეც არის, მაგრამ მე უფრო მგონია, ეს ორიგინალური ძეგლი გვეუბნება: ადამიანებო, ფრთხილად, საშინლად რობოტული სამყარო გვიახლოვდება!

პარიზის ამ უსიცოცხლო მხარის ერთ-ერთ ბეტონის მოედანზე აღბეჭდილი იყო მსოფლიოს ცნობილ მსახიობთა და რეჟისორთა ფეხისა თუ ხელის ნაკვალევნი... ადამიანთა ნაკვალევი. ეგეც სიმბოლურად მეჩვენა... ამ დროს პარიზში ისევ ცივად ცრიდა.

გვ. 8

კარიკატურისტის კომენტარები



ამ ხალხს ღირსება მართლა ჰქონია...



გოდერძი ჩოხელი („ახალი თაობა“):
ჩვენი პრეზიდენტი ყვარყვარეს როლს ძალიან მოუხდებოდა... დროშა შენახული აქვს, როცა უნდა, მაშინ ააფრიალებს...

მიხეილ სააკაშვილი („კვირის პალიტრა“):
პენიტენციალური სისტემა მეწველი ძროხა არ არის.

რატომ არის ლუდოვიკო ოდენ ქვად ქცეული მხედარი? ანუ პარიზის ამბები და კიდევ... მთავარი!

გვ. 7

ცისარტყელა

საღამოს 9 საათზე ჩვენი ავტობუსი უკვე ბურუსის ფსკერზე მშვიდად მომჯდარი (თბილისური ყარგონი!) პარიზის ბუნებრივი ცენტრისკენ დაიძრა. ფანჯრის მიღმიდან ღიმილით გვეხალისებ-გვესალმებოდა თუ გვემშვიდობებოდა პარიზის ულამაზესი, გასულიერებული ხედები (პარიზის ქუჩებში გამოტანილ კაფე-რესტორნებში არავინ არ ჯდება ზურგით ქუჩისკენ!). ტრიუმფალურ თაღთან სიახლოვეს რაიმონდა დაგვემშვიდობა; ჩვენ ტაშით გავაცილეთ ერთადერთი ჩვენი „საკუთარი“ მასპინძელი, ხოლო საექსკურსიო ფირმა „ინსელის“ წარმომადგენელმა, გაკიოლნელებულმა ბაქოელმა, თითქმის ებრაელმა რაშიდმა პარიზული მოგზაურობის ბოლო წერტილად სენაზე გასეირნება შემოგვთავაზა. შემოგვთავაზა იმიტომ, რომ ისევ წვიმდა და გეგმით გათვალისწინებულ ამ პუნქტზე შეიძლებოდა ვინმეს უარი ეთქვა... ასეთიც ერთი-ორი აღმოჩნდა; უმრავლესობა გადავედით თეთრ და პატარა გემზე. გემბანი თითქმის ცარიელი იყო; სველი სკამების შორიახლოს დავდექი ქეთევანის ქოლგით, შემდეგ კი კიჩოსკენ წავიწიე; მაგრამ მალე წვიმაც შეწყდა: პარიზის ზემოთ ბურუსი გაიფანტა და ამ საღამოჟამს, შეიძლება ითქვას დაღამებისას, ცაზე ორი ცისარტყელა გამობრწყინდა! ერთი, უფრო კაშკაშა, მსოფლიო დედაქალაქის თავსა თუ ბოლოს მართლა ტრიუმფალური თაღივით ადგა... გემის კიჩოზე გადავედი.

სხვებიც ნელ-ნელა ამოლაგდნენ გემბანზე.

ღვთისმშობლის ტაძრისკენ დავიძარით. კუნძულთან ახლოს ულამაზესად მორთული დიდი ხიდიდან (ალექსანდრეს სახელობის?) ხალხი გადმოგვყურებდა; ამდენი ლამაზი ემოციისგან აღფრთოვანებულმა ხელი დავუქნიე უცნობებს და მათაც მიპასუხეს; შეიძლება სხვებმაც ჩემთან ერთად გააკეთეს იგივე, ვინაიდან, უკან რომ მოვიხედე მთელი გემბანი აღმართულ ხელად ირხეოდა (მაშინ ვფიქრობდი, რომ პირველმა მე დავიწყე ამგვარი მისალმება!)... ტაძარს საკმაოდ გავშორდით; მერე მოვტრიალდით და უფრო მეორე ნაპირს ჩავუყევით: ისევ დავტკბით ეიფელის ბრწყინვალეებით, რომელიც ყველა მხრიდან ციდან ნაბოძებ ოქროსფერ სვეტად ჩანდა... გავცდით მასაც; მოვტრიალდით თავისუფლების ქანდაკების ორიგინალთან(!).:.

ამგვარად, მისალმებებითა და ამაღლებული ემოციით მოვიარეთ უსაზღვრო ბინდს შეთამამებული პარიზის სანაპირო...

სევდა აეროსტატში

ავტობუსთან შევგროვდით; ვაყოვნებდით დასხდომას: ჩვენი ემოციები აეროსტატის დიდი ბურთივით ადგა, ალბათ, ჩვენსავე ავტობუსს — როგორც სამგზავრო კალათს... ხომ შეგვეძლო ჩვენც ასე მოგვეწყო ჩვენი ქვეყანა?!

ამ საჰაერო ბურთის ნარნარი რხევით დილის ექვს სააათზე ჩავედით კიოლნში; ეს სამგზავრო სინარნარე ვერ დაარღვია შუა გერმანიაში პოლიციელთა მიერ მგზავრთა საბუთების შემოწმებამაც კი (ათასში ერთხელ ასეც ხდება გერმანიაში)...

ფრანკფურტში რომ ჩამოვედი, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს დროის მანქანით ვიმოგზაურე დედამიწის გარშემო... ფრანკფურტიც აღარ ჰგავს სარკოფაგს; კომპიუტერიც ათბილღიმილდა უკვე...

... ეს მწირი ნაწერი, რა თქმა უნდა, მცირედითაც ვერ ასახავს მაშინდელ განცდებს, ემოციებსა და ფიქრებს... ეს ყველაფერი ყველამ თავად უნდა განიცადოს... უნდა განიცადოს იმიტომ, რომ უცხო ქვეყნის, თუნდაც პარიზის მიერ შექმნილი განცდები, ემოციები და ფიქრები აასკეცებს საკუთარი სამშობლოს ტკივილის სასალბუნე მოქმედების სურვილს... ნოსტალგია სხვა სიტყვაა, ეს მონატრებასა და სევდას ნიშნავს, პარიზში მე სხვა რამ დამემართა: ლუვრის დიასახლისს რომ შევადარე დედაჩემი, მშობელი ერის სიყვარული ტკივილად განვიცადე და სასაქართველოო ბრძოლის ცეცხლად დავენთე... ნახეთ პარიზი, რომ საქართველოს ასაღორძინებლად თავი გადადოთ...

ფრანკფურტი,
13-17 ივლისი, 2000 წელი

სხვადასხვა სხვადასხვა

დიასახლისი



ფლავი ქიშმიშით

ორი ჩაის ჭიქა ადუღებულ მარილწყალში ჩავყაროთ დარჩეული, გარეცხილი ბრინჯი და ვხარშოთ, სანამ წყალს მთლიანად არ შეიშრობს. მერე შუაგულში ჩავყაროთ შაქრის ფხვნილი, დარჩეული, გარეცხილი ქიშმიში, ერბო (ერბოს მაგიერ შეიძლება ვიხმაროთ ზეთი). ქვაბს დავახუროთ სახურავი და განვაგრძოთ ხარშვა, როცა მზად იქნება, ლანგარზე გადავიღოთ და სუფრაზე მივიტანოთ.

მასალა: ბრინჯი 1 ჩ.ჭ;
ერბო - 100 გრ;
ქიშმიში - 200 გრ;
შაქრის ფხვნილი - 1 ჩ.ჭ;

შემწვარი ხახვი ნიგვზით

ხახვი გავასუფთაოთ, დავალაგოთ ტაფაზე და შევდგათ ცხელ აირღუმელში. როდესაც ხახვი შეწითლდება და დარბილდება, გამოვიღოთ, დავჭრათ რგოლებად და დავალაგოთ ლანგარზე.

წმინდად დავნაყოთ ნიგოზი, ნიორი, ყვითელი ყვავილი, სუნელი; გავხსნათ ძმარში, დავამატოთ წმინდად დაჭრილი მწვანილი - ქინძი, კამა, პიტნა, მარილი, ბროწეულის მარცვლები და ავურიოთ. ყველაფერი ეს მოვასხათ დაჭრილ ხახვს, ზემოდან მოვაყაროთ წმინდად დაჭრილი კამა და ბროწეულის მარცვლები.

მასალა:
ხახვი - 0,5 კგ;
ნიგოზი - 1/4 ჩ.ჭ;
ბროწეული - 1 ცალი;
ნიორი - 2-3 კბილი;
მწვანილი - 3-3 ძირი;
ძმარი, ზაფრანა, სუნელი, მარილი გემოვნებით.

ეჭიმი



ტუბერკულოზი

ფუტკრის თაფლი (ცაცხვის) - 100 გრ., კარაქი (ახალი) 100 გრ., უმარილო ღორის შინაგანი ქონი 100 გრ., ალოეს წვენი (5 წლიანი) 150 გრ., კაკაოს ფხვნილი 100 გრ. (ალოე მოჭრამდე არ მოვრწყოთ 4 კვირა), ემალირებულ ჭურჭელში მოვათავსოთ ღორის ქონი, თაფლი, კარაქი, როცა ყველა გადნება და ერთმანეთს შეერევა (მხოლოდ ადუღება არ ვაცალოთ), ჭურჭელი გადმოვიღოთ და დავუმატოთ დანარჩენი კომპონენტები; კარგად ვურიოთ. შევინახოთ მინის ქილაში, მაცივარში. ნარევი მივიღოთ თითო სუფრის კოვზით ერთ ჭიქა ცხელ რძეში გახსნილი, დილას და საღამოს.

მკურნალობა ხანგრძლივია. ვღებულობთ ფილტვების ტუბერკულოზისა და შეუპოვარი ბრონქიტის დროს.

სახსრების რევმატიზმი

0,5-0,7 გრ. მუმიოს შეურევენ კარაქს, დაუმატებენ კვერცხის გულს და მიიღებენ დასალევად. იგივე ნარევით დავზელთ დაზიანებულ ადგილს.

სახსრებში ტკივილისას 100 გრ. თაფლს შევურიოთ 0,5 გრ. მუმიო. კომპრესი ღამით გავიკეთოთ, მივიღოთ 0,2 გრ. დილით, ჭამამდე 1 საათით ადრე 10 დღის განმავლობაში. შესვენება 5 დღე. სულ მივიღოთ 6 გრ. მუმიო (სრული მკურნალობისათვის), 2-3 კურსი.

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ტარიელ ფუტკარაძე

რედაქტორთა საბჭო:
ლელა ხაჭაპურიძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), გიორგი აფრიდონიძე (სხვადასხვა ამბები), ონისე ბანძელაძე (ლიტერატურა), ეკა დადიანი (მეცნიერება), მანანა ტაბიძე (დისკუსია), ილია ჭრელაშვილი (მხატვრობა)

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, კუბრაკის 32
(8 231) 2-16-03
(8 77) 47-69-05
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge
გაზეთის ელ. ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/kugi

გაზეთი რეგისტრირებულია
ქუთაისის საქალაქო
სასამართლოში
№12/5/3-4818